პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი 5000 მანეთი

# კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

7 თებერვალი სამშაბათი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4 რედაქტორი ღებულობს ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 საერთო №

№ 29 სამშაბათი, 7 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 7 თებერვალი 1922 წ. № 29

## საქართველოს კომპარტიის ცეკა

პარტიულ აღწერის დაწყების გამო წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ამხანაგებს რომელნიც(რამე მიზეზის გამო არ მიწერილან უჯრედებზე (იაჩეიკებზე), მიეწერონ ასეთებს დაუყონებლივ, ვინაიდგან ის ამხანაგები, რომლებიც არ იქნებიან მიწერილნი რომელიმე უჯრედზე, აღწერაში ვერ მოხვდებიან და, მაშასადამე, ვერც მიიღებენ აღწერის მარკებს, რომლის მიხედვითაც იწარმოებს ძველ პარტბილეთების შეცვლა ახალი ნიმუშის ბილეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას სეკრეტარიატი.

## რეზოლიუცია პროფკავშირების შესახებ

რეზოლიუციას პროფკავშირების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია რ. კ. პ. ც. კ. მიერ, დიდი მნიშვნელობა აქვს. სასურსათო გადასახადის შესახებ რეზოლიუციის შემდეგ რომელმაც განსაზღვრა ჩვენი პოლიტიკა გლეხების მიმართ და გახდა გამოსავალ წერტილათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკისათვის, ეს მეორე ძირითადი რეზოლიუციაა, რომელსაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს და რომელიც პასუხებს იძლევა მეტად მნიშვნელოვან კითხვებზე მუშათა მასების ორგანიზაციის დარგში დღევანდელ მომენტში.

ასეთი კითხვები მომწიფდა და მოითხოვდა პასუხს, შეიძლება მხოლოთ მწუხარება გამოვსთქვათ, რომ ისინი არ ყოფილა განხილული უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე, და ამხ. კამენევის მოხსენებაში არ იყო შეტანილი ის და თვით მომხსენებელიც არ აძლევდა მას საჭირო მნიშვნელობას. ცეკას რეზოლიუციის შესახებ კიდევ ბევრჯერ მოგვიხდება ლაპარაკი ალბათ. ის დიდ მუშაობას გულისხმობს მის ცხოვრებაში გასატარებლათ. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალ პარტიულ ყრილობაზე საპატიო ადგილს დაიკავებს.

ამ სტატიაში მე მინდოდა მიმექცია მკითხველის ყურადღება ამ რეზოლიუციის ორ მნიშვნელოვან მომენტზე, რომლებიც შეძლებას გვაძლევენ უკეთ გავერკვეთ თანამედროვე ეკონომიური სინამდვილის რთულ ურთიერთობებში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა აკარგვინებს ბევრ ამხანაგს ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისა და იმ ურთიერთ დამოკიდებულებათა პერსპექტივებს, რომლებიც უნდა მოეწყოს ეკონომიურ დარგში, რომელიც ძველი მარქსისტული ჭეშმარიტებით, საფუძველია ყოველგვარ სხვა დამოკიდებულებათა. მათ რიცხვში პოლიტიკურისაც.

სამწუხაროთ ბევრი ამხანაგი ივიწყებს ამ ჭეშმარიტებას და იხილავს საერთო პოლიტიკურ ამოცანებს პოლიტიკასთან განკერძოვებულათ, რომლებიც ტარდება ეკონომიურ დარგში.

ამის გამო აუცილებელია დაბნევა, მტკიცე ხაზის უქონლობა, მერყეობა და ქანაობა, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაშიაც.

საწარმოვო დაწესებულებათა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშიანობაზე, **კაპიტალისტების** დაშვება **განსაზღვრულ პირობით**, თავისუფალი ბაზრის გახსნა, ძალიან ბევრს ესმის, როგორც უბრალო დაბრუნება ბურჟუაზიულ წყობილების ურთიერთობისაკენ.

იწყება უბრალო გადაღება (შეუსწავლელათაც კი) კაპიტალისტურ ფორმების და დამოკიდებულებების და მასთან მეტათ ცუდი, დრომოჭმული სახით.

და აი ამ მხრივ ცეკას რეზოლიუცია მეტად ღირსშესანიშნავი ხასიათის მითითებებს იძლევა.

„ახალ ეკონომიურ პოლიტიკას,— ნათქვამია იქ,—შეაქვს მთელი რიგი არსებითი ცვლილებების პროლეტარიატის, და მაშასადამე პროფკავშირების მდგომარეობაშიაც. საწარმოვო საშუალებათა დიდი უმეტესობა მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგი პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში რჩება. მიწის ნაციონალიზაციასთან ერთათ ეს გარემოება მაჩვენებელია იმისი, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ ცვლის მუშათა სახელმწიფოს არსებით თვისებას“...

აქ ჩვენ ვპოულობთ განსაზღვრულ პასუხს იმათთვის, რომლებიც იწყებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დამახინჯებას კაპიტალისტურ ურთიერთობისკენ დაბრუნების მხრივ. მართლაც, მუშათა სახელმწიფოს თვით არსი მდგომარეობდა **ძირითადი ეკონომიური მაზრის—მსხვილი მრეწველობისა და ტრანსპორტის დაუფლებაში** და ეს მომავალშიაც ასე იქნება.

ამით განისაზღვრება მუშათა სახელმწიფოს თვით ბუნება. შემდეგ: „პროლეტარულ სახელმწიფოს თავისი ბუნების შეუცვლელათ შეუძლიან დაუშვას ვაჭრობის თავისუფლება და კაპიტალიზმის განვითარება მხოლოდ **განსაზღვრულ ფარგლებში** და კერძო ვაჭრობის და კერძო მეურნეობის კაპიტალიზმის სახელმწიფო რეგულიაციის პირობით (თვალყურის დევნება, კონტროლი, განსაზღვრა ფორმების წესის და სხ.“

ამის გაგება არ სურდა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე ამხ. კამენევს, რომელიც მეკამათებოდა მე კითხვის ამ ნაწილში.

ჩვენ შეგვიძლია დაუშვათ კაპიტალიზმიც და მმართველობის კაპიტალისტური მეთოდებიც **გარკვეულ საზღვრამდი, გარკვეული ზომით.** ჩვენ მიერ დაშვებული კაპიტალიზმი უნდა იყოს **ჩვენი საბჭოთა მეურნეობის დამხმარე, მისდამი დაქვემდებარებულ ფორმათ.**

მაგრამ მსხვილი მრეწველობა უნდა იყოს ჩვენ ხელში და ამუშავდეს გეგმის საფუძველზე (რასაკვირველია ეს არ უარყოფს ცალკე გამონაკლისს, როგორც მაგალითად უფლებას თითო მწარმოებლისას თავის წარმოების გარკვეული ნაწილით გამოვიდეს დამოუკიდებლათ თავისუფალ ბაზარზე).

დამოკიდებულება პროფკავშირების კაპიტალისტურ წარმოებასთან, რომელიც დაშვებულია პროლეტარულ **სახელმწიფოში**—ერთი მხრით და სახელმწიფოებრივ წარმოებასთან მეორეს მხრით, უნდა იყოს სხვადასხვანაირი. სამწუხაროთ ამ თავის თავათ საგულისხმო საგანზე გვიხდება ლაპარაკი გაფიცვათა დაშვებასთან დაკავშირებით.

„კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ დროს აუცილებელია კლასების არსებობა და რუსეთის კომპარტიის პროგრამა სრულიად გარკვევით ლაპარაკობს, რომ ჩვენ ვსდგამთ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელათ. ამიტომ კომპარტიამაც და საბჭოთა ხელისუფლებამაც ისევე როგორც პროფკავშირებმა უნდა გარკვევით იცნონ ეკონომიური ბრძოლის არსებობა...

მაგრამ თუ კაპიტალისტურ წარმოებათა მიმართ გაფიცვები ერთი უძლიერესი იარაღია პროფკავშირების ხელში კაპიტალისტებზე გავლენის მოსახდენათ, მაგიერათ „სახელმწიფოებრივ წარმოებათა მიმართ უნდა ვიხმაროთ სხვა საშუალებანი,

„**ერთათ ერთი სწორი, ჯანსაღი და მიზანშეწონილი მეთოდები**—ამბობს რეზოლიუცია—კონფლიქტების გადასაჭრელათ მუშათა კლასის ცალკე ნაწილების და მუშათა სახელმწიფოს ორგანოებს შორის არის პროფკავშირების ჩარევა როგორც შუამავლების, რომლებიც (პროფკავშირები) თავის პასუხისმგებელ ორგანოების სახით ან აწარმოებენ მოლაპარაკებას სათანადოთ სამეურნეო ორგანოებთან ორივე მხარის ნათლათ გარკვეულ მოთხოვნათა და წინადადებათა მიხედვით ან და მიმართავენ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინსტანციებს“.

ასეთია პარტიის ცეკას მიერ მიცემული დირექტივა. პროფკავშირებს არ შეუძლიათ და არც უნდა დაიკავონ მათ „დამოუკიდებელი“ პოზიცია სახელმწიფოებრივ წარმოებათა მიმართ. კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება დაიბადონ ადმინისტრაციისა და მუშების შორის საბჭოთა წარმოებებში ან დაწესებულებებში იქნებიან არა კლასიური, არამედ ტეხნიკური ხასიათის, ამიტომ მათი თავიდან აცილების საშუალებაც უნდა იყოს სხვაგვარი, ვინემ კაპიტალისტურ წარმოებაში. ჩემი პირადი აზრია, რომ შეეძლო საზოგადოთ კომუნისტურ პარტიას გადაჭრით უარეყო გაფიცვების დაშვება საბჭოთა წარმოებებში და დაწესებულებებში.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, როგორც საერთო წესია, უნდა ეყრდნობოდეს ობიექტიური ფაქტებს და ისახავდეს თავის მიზნათ **წარმოების აღდგენას, როგორადაც არ უნდა მოხდეს ეს.**

მაგრამ უკანასკნელი ამოცანის გადაჭრის დროს სახეში უნდა იქნეს მიღებული მთელი თავისებურება ჩვენი თანამედროვე პირობების, რომლებსაც ჰქმნის, პირველ ყოვლისა, თვით ფაქტი პროლეტარული დიქტატურის.

ჩვენ სრულიადაც ვერ მივაღწევთ საჭირო შედეგებს უბრალო უკან დახევით და უმთავრესათ კაპიტალისტური მეთოდების ქება-დიდებით. ერთ ფრინველზე ამბობენ, რომ მას დიდი ხმა აქვს და როდესაც ღმერთს ადიდებს, თავის თავს ივიწყებსო.

ასეთი ღვთის ჩიტები (ისინი უკვე მოგვევლინენ) ძალიან ცოტათი გამოგვადგებიან ჩვენ საბჭოთა რეჟიმის გასამაგრებლათ.

სწავლა კაპიტალისტებისაგან მხოლოთ ნამდვილ კაპიტალისტებისაგან, უკანასკნელი ხანის და არა მეჩვიდმეტე საუკუნის კაპიტალისტებისაგან) საჭიროა და გამოსადეგიც, მაგრამ თავი არ უნდა დავივიწყოთ და უკან დახევის საზღვრებიც უნდა ვიცოდეთ.

ვ. მილიუტინი.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი

**მოსკოვის საბჭოს არჩევნები.**

**მოსკოვი**, 6 თებერვალი რადიო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა მოსკოვის საბჭოს 1659 წევრი, რომლებიდანაც 1447 კომუნისტია, 207 უპარტიო, ერთი ესერი, 1 მაქსიმალისტი და 3 მენშევიკი.

**იუსტიციის მოღვაწეთა ყრილობა.**

**ამხ. კალინინის სიტყვა.**

**მოსკოვი**, 3 თებერვალი რადიო. ყრილობისადმი მისასალმებელ სიტყვაში ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ 1922 წელი იქნება ის წელი, როდესაც იუსტიციის ორგანოებს ექნებათ დიდი მნიშვნელობა. ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლება არ საჭიროებს მიმართოს საგანგებო ზომებს. მიმდინარე მომენტში იუსტიციის ორგანოებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ არა მარტო იმით, რომ ნერგავენ საბჭოთა კანონებს, არამედ იძლევიან ხალხის შემოქმედების გამოხატულებას. აღნიშნა რა საბჭოთა ხელისუფლების გამტკიცება და „ჩეკას“ რეორგანიზაციის საჭიროება ამხ. კალინინმა სთქვა, რომ უნდა არსებობდეს ელასტიური და თანამედროვე პირობებთან შესაგუებელი იუსტიციის ორგანოები რევოლიუციონური კანონიერება არაა ცარიელი ხმა. იუსტიციის ორგანოებს დასჭირდებათ დიდი მუშაობის წარმოება, რომ შექმნან კანონებისადმი პატივისცემა; კანონიერება უნდა გავიგოთ როგორც განსაზღვრულ პროცესუალური ნორმების დაცვის საჭიროება, რითაც ინერგება მასების შემეცნებაში სასამართლოსადმი პატივისცემა. სასამართლოს ეძლევა დიდი მნიშვნელობა. სასამართლოზე უნდა გადავიდეს მთელი რიგი საქმეებისა, რომლებსაც ის ახლა არ არჩევს, მაგალითად მიწის საქმეები, სახალხო სასამართლოზე გადავა ის საქმეები, რომლებსაც ამ ჟამად „ჩეკა“ განაგებს. იუსტიციის მნიშვნელობის შეგნება უნდა გავრცელდეს საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ ორგანოებზე: ეს ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია.

**რეზოლიუცია სასამართლოს მოწყობის შესახებ.**

ერთიან სამოსამართლო სისტემის მოწყობასა და გამტკიცებასთან რეზოლიუცია აღნიშნავს იუსტიციის განყოფილებების გაუქმების, პროკურატორის შემოღების და იუსტიციის სახალხო კომისარიატის პოლიტიკის მთლიანი სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროებას. ყრილობა საჭიროდ აღიარებს საგამომძიებლო აპარატების რეორგანიზაციას (გამოშვებულია)... წინასწარი დატუსაღება უნდა გაგრძელდეს არა უმეტეს 24 საათისა, რის შემდეგ უნდა მოხდეს საგამომძიებლო ან სამოსამართლო ხელისუფლების სანქცია თუ არ არი საფუძველი ბრალდების წაყენებისთვის. თუ საგამომძიებლო ორგანოს მიერ საბუთები კიდევ არ არი შეკრებილი დატუსაღების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს პროკურორის დასტურით.

**კონდრაბანდა.**

**მოსკოვი.** 3 თებერვალი, (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარმა საბჭოთა რუსეთში ესტონეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის საშვალებით გააუგზავნა ესტონეთის მთავრობას ნოტა სადაც აღნიშნულია სპეკულიაციის და კონდრაბანდულ აფერის მთელი რიგი, რომელიც ჩაიდინეს ესტონეთის დიპლომატიურ მისიის თანამშრომლებმა. იყენებდენ რა ბოროტად საერთაშორისო უფლების ნორმებს, მათ გამოქონდათ რუსეთიდან დიპლომატიური ვაგონებით და დიპლომატიური ფოსტით ესტონეთში ძვირფასეულობა, ხელოვნების საგნები, აგრეთვე შემოქონდათ რუსეთში აკრძალული ნივთები, როგორიცაა სპირტი, სახარინი დ სხვ. ზოგიერთი ოპერაციები სწარმოებდა ესტონეთის ათეული მილიონი მარკებით. ნოტაში დასახელებულია კონდრაბანდი დიპლომატები, რომლებიც მოქმედებდენ ესტონეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ამხანაგის როზენდორფის უშუალო ხელმძღვანელობით. აცხადებს რა პროტესტს დიპლომატიური ფოსტის ამ სახით გამოყენების გამო, რაც ზარალს აყენებს საბჭოთა რუსეთს, საგარეო საქმეთა კომისარი მოითხოვს აღნიშნულ ოპერაციების მონაწილეების სამართალში მიცემას.

**პროვოკატორების დახვრეტა.**

**მოსკოვი.** 4 თებერვალი, (რადიო). ყაზანის რევტრიბუნალმა გადაუწყვიტა დახვრეტა 1899—1902 წლების ყაზანის დემოკრატიულ ორგანიზაციების პროვოკატორს კაპიტონოვს, რომელიც შევიდა რუსეთის კომუნისტურ პარტიაში 1919 წელს და ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები; ის გამორიცხეს პარტიიდან ლოთობისა და კრებებზე დაუსწრებლობისათვის.

**ნაციონალურ გაერთიანების კომიტეტის პროცესი.**

**მოსკოვი.** 4 თებერვალი, (რადიო). ტაშკენტში გაარჩიეს ნაციონალურ გაერთიანების კომიტეტის საქმე. ბრალდებულთა შორის არიან—ერთი უმაღლესი სასულიერო პირი და ორენბურგის გუბერნიის უპარტიო გლეხი კარიმოვი, რომელიც 1914 წელში ირიცხებოდა ესდეკების პარტიის წევრად. საქმის მდგომარეობა ასეთია: გასული წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ტაშკენტში მოეწყო კონტრ რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელმაც დაირქვა „ნაციონალურ გაერთიანების კომიტეტი“. ამ ორგანიზაციამ კომიტეტის სახელით თხოვნით მიმართა ინგლისის და იაპონიის მთავრობების წარმომადგენლებს დაეხმარონ ფერგანსკის ბანდებს იარაღით, ფულით და სხვა საჭირო საგნებით. გამგზავრება ქულჯაში წერილებით ჩაიშალა, რადგანაც ბრალდებულები კარიმოვი და კურბანოვი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ყალბი დოკუმენტები, დაატუსაღეს. ორ ბრალდებულს რევტრიბუნალმა გადაუწყვიტა 5 წლით და ერთს 3 წლით თავისუფლების აღკვეცა. დანარჩენი გამართლებულია.

**შრომის ხილფასის ფონდი.**

**მოსკოვი.** 5 თებერვალი, (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსოს შრომის ხელფასის ფონდის ცენტრალური კომისია. კომისიაში შედის თითო წარმომადგენელი რუსეთის პროფკავშირის საბჭოდან, სასურსათო კომისარიატიდან, უმაღლეს სამეურნეო საბჭოდან და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან. კომისიის ამოცანებს შეადგენს: სურსათისა და ფართოდ მოსახმარ საგნებიდან შრომის ხელფასის ცენტრალურ ფონდის საერთო თვალყურის დევნება, სიების დამტკიცება წარმოებების და დაწესებულებებისა, რომლებიც გადაყვანილ არიან კოლექტიურ მომარაგებაზე, მათი მოხსნა სახელმწიფო მარაგიდან და სხვ... გუბერნიის საოლქო ეკონომიურ თათბირებთან არსდება გუბერნიის საოლქო საფონდო კომისიები.

## მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე

**გაფიცვები გერმანიის რკინის გზებზე.**

**ბერლინი**, 3 თებერვალი (რადიო). მიუხედავათ მთავრობის კატეგორიულ აღკრძალვისა, რკინის გზის მოსამსახურეები მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მეთაურობით 3 თებერვალს ღამით გაიფიცნენ. რკინის გზებით ყოველი მიმოსვლა ბერლინთან შესწყდა. რკინის გზის მოძრაობა შეჩერდა ჩრდილოეთ და ცენტრალურ გერმანიის მომეტებულ ნაწილში. გზების ზოგიერთ ნაწილებზე მოძრაობს მხოლოდ სასურსათო მატარებლები. ბერლინსა, დრეზდენსა და მაგდებურგში ელექტრო-ტეხნიკებიც (მემანქანეები ელექტრონის გზებზე) შედეგების შიშით გაიფიცნენ. გაფიცულებს წინადადება მისცეს დაუყონებლივ შეუდგნენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვით ემუქრებიან.

— გერმანიის საზოგადოებრივი აზრი კიცხავს გაფიცვას. კომუნისტური პრესა ენერგიულათ მხარს უჭერს გაფიცულებს.

**პირველი რეპრესიები.**

**ნაუენი**, 3 თებერვალი (რადიო). რესპუბლიკის პრეზიდენტ ებერტის ბრძანებით დააპატიმრეს გამოჩენილი მუშები, რომლებსაც დიდი ავტორიტეტი ქონდათ გაფიცულთა შორის. გაფიცულთა სათადარიგო კაპიტალი, რომელიც სხვა და სხვა ბანკებში ინახება მიმდინარე ანგარიშზე, დაბეჭდეს.—მოკავშირეთა საერთაშორისო კომისიამ დროებით დაპყრობილ ოლქში გამოაცხადა, რომ გაფიცვის ყოველი ცდა უსასტიკესათ იქნება შეწყვეტილი.

**გაფიცვა საყოველთაო ხდება.**

**ნაუენი.** 4 თებერვალი, (რადიო). მდგომარეობა გერმანიაში უარესდება იმის გამო, რომ რკინის გზის მუშებს შეუერთდნენ ფაბრიკა-ქარხნის წარმოებებიც. ჩრდილოეთ და საშუალო გერმანიის რაიონების მომეტებულ ნაწილში რკინის გზებით მიმოსვლა შეწყვეტილია. ზოგან ქალაქებ შუა მატარებლები მოძრაობს, რადგან სათადარიგო ტეხნიკები დათანხმდნენ მუშაობას გაფიცულ მემანქანეების მაგიერათ. გაზეთები მოითხოვენ, რომ გაფიცულებმა სასურსათო და ნახშირის მატარებლები მაინც ამუშავონ. რაიონების უმეტესობაში მიმოსვლას აწარმოებენ ფოსტის ავტომობილების საშუალებით.

**ბერლინი.** 4 თებერვალი, (რადიო). ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი აცხადებენ, რომ ისინი მზათ არიან შეურიგდნენ გაფიცვას. ამ ჟამათ მხოლოდ ბერლინში გაფიცულია 50,000 კაცი, მათ შორის 4,000 ორთქლმავლის მემანქანე. საერთოთ მთელ გერმანიაში გაფიცულია 200,000 კაცი. პოლიციის განკარგულებით, ყველა გაფიცულნი განდევნილნი არიან რკინის გზის სადგურებიდან, რომლებსაც იცავენ სამხედრო რაზმები.

**მოლაპარაკება.**

**ბერლინი.** 5 თებერვალი, (რადიო). ადგილობრივი რკინის გზების ხელისუფალნი აქამდე უარყოფდნენ ყოველ მოლაპარაკებას გაფიცვებთან. ვიურტემბერგის რკინის გზების გამგემ მოსამსახურეთა მეცადინეობით, მაინც მიმართა ბერლინის მთავრობას მოთხოვნით — მოლაპარაკება დაიწოს. ვირტი დათანხმდა—მიიღოს პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები მუშათა მოთხოვნებზე მოსალაპარაკებლათ.

— ბერლინის და მის მიდამოების პროფესიონალურ კავშირთა შეერთებულმა კომიტეტმა რესპუბლიკის პრეზიდენტ ებერტს მიმართა მოთხოვნით დაუყოვნებლივ გააუქმოს თავისი ბრძანება გაფიცულთა დასჯის შესახებ.

**ბერლინი.** 5 თებერვალი, (რადიო). ბერლინის ტრამვაის მოსამსახურეთა საზოგადო კრებაზე, დიდის ხმის უმეტესობით დაადგინეს დაუყოვნებლივ გამოაცხადონ გაფიცვა. წარდგენილია მოთხოვნა სამუშაო ქირის მომატების შესახებ. საზოგადო მდგომარეობა გერმანიაში ყოველ საათს უარესდება.

## გენუას კონფერენციისათვის

**მზადება კონფერენციისათვის.**

**ბორდო**, 3 თებერვალი, რადიო. იტალიის მთავრობამ, მომავალ კონფერენციის გამო, ბრძანება გასცა რადიო-ტელეგრაფის და ტელეგრაფის კავშირის გაძლიერების შესახებ გენუასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.

**საფრანგეთის მთავრობის სხდომა.**

**ბორდო**, 4 თებერვალი, რადიო. პარიზში ელისეის სასახლეში მილიერანის თავმჯდომარეობით გაიმართა სხდომა მთავრობის წევრებისა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთათ; სხდომას დაესწრნენ პუანკარე, ლეონ ბურჟუა, ვივიანი და მთავრობის ყველა წევრნი. ამ სხდომაზე ითათბირეს გენუას კონფერენციასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

**გენუას კონფერენციის შედეგები**

**ბორდო**, 21 იანვარი, რადიო. „ბერლინერ ტაგებლატი“ მიუთითებს გენუას კონფერენციის მოსალოდნელ უარყოფით მხარეებზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანიამ უნდა მხედველობაში მიიღოს საერთაშორისო გამოსვლის გეგმა რუსეთის აღდგენის საქმეში და მზათ იყოს ყოველნაირი ვერაგობისთვის საფრანგეთის მხრივ. გერმანია მზათ უნდა იყოს ანტანტის ინტერესების იძულებით სამსახურისთვის. ამასთანავე გაზეთი იხსენიებს, რომ თითონ საბჭოთა მთავრობა მაინც და მაინც კეთილის თვალით როდი უცქერის რუსეთის აღდგენის პროექტს საერთაშორისო კონსორციუმის საშუალებით და რომ რუსეთი არჩევს, საქმე დაიჭიროს ყოველ სახელმწიფოსთან ცალკე, მეტადრე გერმანიასთან. „ბერლინერ ტაგებლატში“ მოთავსებულ წერილის ავტორი ვოლფი ათავებს ამ წერილს მოწოდებით გერმანიის მთავრობისადმი—დაუყონებლივ, გენუას კონფერენციის მოწვევამდე, განიხილოს საკითხი, გერმანიას მოსკოვში ეკონომიურ ხასიათის საკითხებს გარდა, დიპლომატიური საქმეებიც ხომ არა აქვს.

**რას მოელიან რუსეთისგან**

**ლონდონი**, 20 იანვ. „მანჩესტერ გარდიანი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს გენუას კონფერენციას, რომელიც უნდა შეიქნეს მეორე პარიზის 1919 წლის კონგრესათ, მაგრამ უფრო ფართო მასშტაბით. გენუაში მიწვეულ რუსეთის დელეგატებისაგან, იუწყება გაზეთი, სახელმწიფოები ფიქრობენ მიიღონ თანხმობა თავისუფალ ვაჭრობის აღდგენასა და ფულის ბაზრის სტაბილიზაციაზე.

**რუსეთის და საფრანგეთის ინტერესები**

**პარიზი**, 20 იანვ. „ტანი“ სწერს: იმ დღეს, როდესაც სახელმწიფოები შეუდგებიან რუსეთის საქმეების განხილვას და ევროპა ბოლშევიკებისაგან მიიღებს საიმედო გარანტიებს, რომლებიც შეუძლებელს გახდიან საბჭოთა მთავრობის მხრივ თავის ვალდებულების თავიდან აცილებას, ევროპის კონგრესი, ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ, პირველათ, შეიძლებს ჩამოაყალიბოს და ცხადი დაუჭიროს მთელი სოფლიოს წინაშე რუსეთის ეროვნულ ინტერესებს იმ რწმენით, რომ რუსეთის არსებითი ინტერესები მუდამ შეიძლება შეუთანხმდეს საფრანგეთის საჭიროებას.

**გაუგებრობა**

**მოსკოვი**, 24 იანვ. სტეკლოვი მოწინავე წერილს უძღვნის „ზოგიერთ გაუგებრობას“ გამოწვეულს მითქმა-მოთქმით მომავალ საერთაშორისო კონფერენციის შესახებ. სტეკლოვი სწერს: როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება რ. ს. ფ. ს. რ. ოფიციალურად აღიარების შესახებ, მაშინ მოკავშირეებს შეუძლიანთ მოთხოვონ რუსეთის მთავრობას ცნობილი ვალდებულებანი, ისე როგორც საბჭოთა მთავრობაც მოითხოვს თავის კონტრაგენტებისგან. საერთო კი არსებითი მხარე მოკავშირეთა დიპლომატების მიერ წამოყენებულ საკითხისა რუსეთის ვალდებულებათა შესახებ უნდა ჩაითვალოს უკვე გადაწყვეტილად საბჭოთა მთავრობის დეკლარაციებით დ უმთავრესათ ნოტით ომის წინა დროის ვალების აღიარების შესახებ. მართლაც და, ამ ნოტაში გარკვეულათ იყო ხაზგასმული, რომ ვალდებულებას ომის წინა დროის ვალების გადახდის შესახებ რუსეთის მთავრობა

კისრულობს მხოლოთ იმ პირობით, თუ მას იურიდიულათ აღიარებენ სხვა სახელმწიფოები. აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა საზოგადო პოლიტიკურ კონფერენციისა ზავის შესაკვრელათ და პირობის დამდებთა სახელმწიფოების საურთიერთო პრეტენზიების განსახილველათ. უნდა ვიფიქროთ, რომ გაზაფხულისთვის განზრახული საერთაშორისო კონფერენცია გადაიქცევა საზოგადო—პოლიტიკურ საერთაშორისო კონფერენციათ, რომელზედაც განხილულ იქნებიან ყველა ამასთან დაკავშირებული საკითხები. ამნაირ განხილვის შედეგათ, საბჭოთა მთავრობას შეუძლიან იკისროს რაიმე ახალი ვალდებულებანი ან საზოგადოთ დაადასტუროს ის ვალდებულებანი, რომელიც მან პირობით იკისრა თავის წინანდელ დეკლარაციებით. ხოლო საბჭოთა მთავრობისგან რაიმე ახალ ამნაირ განცხადების მოთხოვნა. უნაყოფო იქნება, სანამ ძირითადი, მის მიერ წამოყენებული პირობა იურიდიულ აღიარების შესახებ არ იქნება დაკმაყოფილებული.

**ჯერ კიდევ დროა.**

**პარიზი,** 20 იანვარი „ტანი" სწერს: საბჭოთა მთავრობას ჯერ კიდევ [illegible]

[illegible]

ამ პირობებში, რასაკვირველია მას შეუძლიან მოვიდეს გენუაში იმისთვის, რომ თავისი განცხადება მოასმენინოს, მაგრამ არა იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციის თათბირებში. თუ კანის რეზოლიუცია მხოლოთ ქაღალდის ნაგლეჯს წარმოადგენს მოსკოვის მთავრობისთვის, მაშინ შეუძლებელია საკითხის აღძვრა საბჭოთა მთავრობის აღიარების შესახებ. და თუ მეორეს მხრით, განაგრძობს „ტანი", საბჭოთა მთავრობა მიიღებს კანის რეზოლიუციას, რასაც იგი, ეტყობა, აპირებს, და თუ მას განზრახვა აქვს მონაწილეობა მიიღოს გენუას კონფერენციაში მის სხვა წევრებთან თანასწორ უფლებით, მაშინ მას არ შეუძლიან იქ დასწრება, თუ ოფიციალურათ აღიარებული არ იქნება არა თუ მარტო დე-ფაქტო, არამედ დე-იურეც. მაგრამ უკვე მარტო მოწვევა საბჭოთა მთავრობისა კონფერენციაზე ეთანასწორება ამ ოფიციალურ აღიარებას და მოასწავებს მაშასადამე, რომ საბჭოთა მთავრობა თვით იმ ფაქტით, რომ ესწრება გენუას კონფერენციას, კისრულობს კანის პირობებს.

„მატენი" სწერს: თუმცა კანის კონფერენცია არ სდებს არავითარ წინასწარ პირობებს გენუას კონფერენციაზე მოწვევისთვის. მაინც იგი სდებს სრულიათ განსაზღვრულ პირობებს ევროპის აღდგენის საქმეში თანამშრომლობისათვის. კითხვა მხოლოთ იმაშია, რომელი მომენტიდან იწყება ეს თანამშრომლობა. ცხადია, გენუას კონფერენციის დაწყების მომენტიდან, რომელსაც შესამჩნევი პოლიტიკური ხასიათი აქვს.

**იტალიის წარმომადგენელის განცხადება.**

**ლონდონი** 5 თებერვალი. (რადიო). [illegible]

[illegible] ვილი გენუას კონფერენცია არის წმინდათ ეკონომიური და ფინანსიური, მაგრამ ეს შეცდომაა. საკმარისია კონფერენციის პროგრამის გაცნობა რათა დარწმუნდეთ, რომ დღის წესრიგის პირველი 3 მუხლი წარმოადგენენ წმინდა პოლიტიკურ საკითხებს.

**შესდგება თუ არ კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 5 თებერვალი, (რადიო). რეიტერის სააგენტომ გენუის კონფერენციის შესახებ გავრცელებულ სხვა და სხვა ხმების გამო გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: რამდენადაც საქმე ეხება ინგლისისა და იტალიის კრებას, საკითხი კონფერენციის გახსნის შესახებ არ აღძრულა. დანამდვილებით გონიათ, რომ კონფერენცია გაიხსნება 8 მარტს და გაგრძელდება 2—3 კვირა, ყველა მოწვეულმა სახელმწიფოებმა უკვე განაცხადეს დასწრების თანხმობა, გარდა ამერიკისა.

ლონდონის ყველა გაზეთები იუწყებიან: ოფიციალურ წყაროთა ცნობით, ყველა ცნობები გენუას კონფერენციის გადადების შესახებ ყოველივე საფუძველს მოკლებულია. გრძელდება კონფერენციის გასახსნელ მუშაობის სამზადისი, გახსნა მოხდება არა უგვიანეს 8 მარტისა. ლოიდ-ჯორჯს იმედი აქვს, რომ იგი დაესწრება კონფერენციაზე, როგორც ბრიტანიის დელეგაციის მეთაური.

# ანტანტის დაშლა

**საფრანგეთის მილიტარიზმი**

**ბორდო,** 3 თებერვალი (რადიო) საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა: საფრანგეთს არავითარი საომარი ან აგრესიული ზრახვა არა აქვს თავისი მეზობლების მიმართ. საფრანგეთის ძლიერი არმიის მიზანია საზავო ხელშეკრულობის ასრულების უზრუნველყოფა.

**პარიზი,** 3 თებერვალი (რადიო) უცხოელ სამხედრო ატაშების მიღების დროს საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ სთქვა: „საფრანგეთის არმიას ამ ჟამათ უნდა უყუ- [illegible]

[illegible] თვალსაზრისი გერმანიის ნოტაზე კონტრიბუციის შესახებ. საფრანგეთის მთავრობის აზრით, საკონტრიბუციო კომისია დაუყონებლივ უნდა შეუდგეს გერმანიის მთავრობისათვის პასუხის დამუშავებას. „ეკო-დე პარი" წინანდებურად მოითხოვს იძულებითი ზომების მიღებას გერმანიის მიმართ, თუ ჩვეულებრივი ზომები არ აღმოჩნდებიან საკმარისი.

**ახლო აღმოსავლეთის საკითხის გარშემო**

**მოსკოვი,** 4 თებ. (რადიო), ეხება რა ახლო აღმოსავლების საკითხს „ტაიმს"-ი ამბობს, რომ საქმეთა ვითარება მოითხოვს ლოიალურ შეთანხმებას ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიის შორის, იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა იქნან მიღებული ოსმალეთიდან—საბერძნეთის კონფლიქტის სწრაფი მოწესრიგებისათვის, მათ უკვე განაცხადეს სურვილი თავისი საკითხების გადაჭრა მიანდონ მოკავშირეებს. აღნიშნავს რა საკითხის სისწრაფეს, „ტაიმსი" იხსენებს, რაც ლორდ კერზონმა უკვე მიუთითა პუანკარეს, რომ გაზაფხულზე ისევ შეიძლებ[ა] ანატოლიაში ფა- [illegible]

[illegible] შესახებ. საფრანგეთი და ინგლისი ზრუნავენ არა ურთიერთ დათმობებზე ახლობელ აღმოსავლეთში, არამედ ცდილობენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას საბერძნეთისა და ოსმალეთს შორის, ამასთან ყველაზე ნაკლებ ფიქრობენ მცირე აზიის დაყოფაზე ურთიერთ შორის. რათა მშვიდობიანობა ჩამოაგდონ აღმოსავლეთში, მოკავშირეებმა უნდა უარყონ ყოველგვარი აზრი სამხედრო ან საზღვაო ზედმოქმედებისა საბერძნეთსა და ოსმალეთზე. ქრისტიან უმცირესობათა დაცვა ოსმალეთში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა მოხერხდება ცალკე ზონების და რაიონების დაწესების აუცილებლობის აცილება, როდესაც გამომუშავებული იქნება მმართველობის სტატუტი, ერთნაირად გამოსაყენებელი ოსმალეთის ყველა ქრისტიანების მიმართ და ასულდგმულებული იმავე პრინციპებით, რომლებიც გატარებულია უმცირესობათა დაცვის ხელშეკრულებებში სხვადასხვა ევროპიული ქვეყნებში.

**წინასწარი მოლაპარაკება.**

**ბორდო,** 3 თებერვალი (რადიო). ლონდონსა, პარიზსა და რომს შორის გრძელდება ნოტების გაცვლა-გამოცვლა. მოკავშირეთა მთავრობებს სურთ თათბირის გახსნამდე მიაღწიონ პრინციპიალურ შეთანხმებას ახლობელ აღმოსავლეთის საკითხის გამო.

**პარიზი,** 2 თებერვალი (რადიო). ოთხშაბათს გარეშე საქმეთა სამინისტროში პარიზში, პუანკარეს თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი აღმოსავლეთის საკითხების საფუძვლიანად გაცნობილ პირებისა. თათბირს დაესწრენ გენერალი ვეიგენტი, გენ. პოლლე და გურო და ოსმალეთის ბანკის წარმომადგენელი. ამ თათბირზე პუანკარემ აღნიშნა, რომ [illegible]

[illegible] უნდა, განაგრძონ დამპყრობი ომი, რომელიც მათ დიდ საფრთხეს უქადის. გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს. მოკავშირეებმა, რომელნიც მოკლებულნი არიან საშუალებას ძალით მოუღონ ბოლო საბერძნეთ-ოსმალეთის ბრძოლას, ხელი უნდა შეუწყონ გონიერების გამარჯვებას დაჯერების გზით, უფლების ნიადაგზე დადგომით.

**ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება.**

**ნაუენი,** 3 თებერვალი (რადიო). ლონდონის პრესა აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრი დღითი დღე უფრო [illegible] ლად ეპყრობა [illegible] კავშირის დადებას, რომელიც აუცილებელია ინგლისის და საფრანგეთის ურთიერთობის განსამტკიცებლად და ორივე ქვეყნის პოზიციის გასაძლიერებლად ომის შემთხვევაში. „ტაიმსის" აზრით ეს კავშირი პოპულიარულად გახდის იმ მთავრობას, რომელიც მას შეკრავს. თავის მხრით „ტან"-ი აღნიშნავს, თუ პუანკარე მთავრობა ხელს მოაწერს ინგლის-საფრანგეთის კავშირს, ამით ის გააძლიერებს თავის პოპულიარობას და ავტორიტეტს.

**ვარშავა,** 5 თებერვალი (რადიო). „ჟურნალ დე პოლონ"-ის ცნობით, კერზონმა ინგლისის მთავრობის და ინგლისის ხალხის სახელით გადასცა საფრანგეთის ელჩს სენტ ოლერს სურვილი მჭიდრო მეგობრულ კავშირის მალე დადებისა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ლორდ კერზონმა აღუთქვა, რომ საფრანგეთის წინადადებანი სასწრაფო წესით იქნებიან განხილულნი. ინგლისის მთავრობა უახლოეს დღეებში გასცემს პასუხს საფრანგეთის წინადადებებზე, ალბად, კერზონის ყოფნის დროს პარიზში, რაც პუანკარეს საშუალებას მის- [illegible]

[illegible] საფრანგეთი უყურებს ევროპას როგორც უშველებელ სამხედრო მანქანას, რომლის მთავარი ფუნქციაა გერმანიის ჩახრჩობა მოკავშირეთა რკინის მუხრუჭებში. გაზეთი ცდება, წერს გოვენი,—საფრანგეთი უყურებს ევროპას, როგორც სახელმწიფოთა კრებულს, რომელთაგან უკანასკნელ ომში დამარცხებულნი ცდილობენ თავი დააღწიონ თავის დამარცხების შედეგებს, მეორენი კი—გამარჯვებულნი მოითხოვენ და უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების ასრულება. საფრანგეთი სრულიად არ [illegible]

# პროფესიონალური კავშირების როლი და ამოცანები

რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარულმა სხდომამ წ. წლის 28 დეკემბერს განიხილა საკითხი პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში. მოხსენება გააკეთეს ამხ. რუდზუტაკმა, ანდრეევმა და შლიაპნიკოვმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა ამხ. რუდზუტაკისა და ანდრეევის თეზისები გადაეცათ შესამუშავებლათ კომისიაში, ამ ორ ამხანაგისა და ამხ. ლენინის შემადგენლობით.

ამ კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია, რომელსაც სრულიათ მხარი დაუჭირა პროფკავშირების სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს ფრაქციის ბიურომ, ერთხმათ იქნა დადასტურებული რ. კ. პ. ცეკას პოლიტიკური ბიუროს მიერ შემდეგი სახით:

**1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პროფკავშირები.**

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას შეაქვს მთელი რიგი არსებითი ცვლილებათა პროლეტარიატის მდგომარეობაში და ამიტომ პროფკავშირების მდგომარეობაშიც. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოო საშუალებათა უუდიდესი ნაწილი რჩება პროლეტარული სახელმწიფოს ხელში მიწის ნაციონალიზაციასთან ერთათ ეს გარემოება მაჩვენებელია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არა სცვლის მუშურ სახელმწიფოს არსს, თუმცა სოციალისტური აღმშენებლობის მეთოდებს და ფორმებს კი არსებითად სცვლის, რადგან ის შესაძლებლათ ხდის ეკონომიურ შეჯიბრებას, აღმშენებლობის პროცესში მყოფ სოციალიზმისა და აღორძინებისაკენ ლტოლვილ კაპიტალიზმის შორის, მრავალ მილიონიან გლეხკაცობის დაკმაყოფილების ნიადაგზე ბაზრის საშუალებით.

სოციალისტური აღმშენებლობის ფორმების შეცვლა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთელ პოლიტიკაში კომუნისტური პარტია და საბჭოთა ძალაუფლება მიმართავენ განსაკუთრებულ ზომებს ამ გადასვლისათვის, ხმარობენ მთელ რიგ შემთხვევებში სხვა საშუალებებს, ვინემ ეს იყო წინეთ, იპყრობენ ახალ პოზიციებს. ასე ვთქვათ, „ახალი შემოვლით", აწარმოებენ უკან დახევას, რათა უფრო მომზადებული გადავიდნენ შეტევაზე კაპიტალიზმის წინააღმდეგ კერძოთ, ახლა ნება დართულია და ვითარდება თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალიზმი, რომლებიც ერთნაირ კალაპოტში უნდა ჩააყენოს სახელმწიფომ. ხოლო მეორეს მხრივ განსახელმწიფოებრივებული წარმოება გადადის ეგრედ წოდებულ სამეურნეო ანგარიშიანობის წესზე, ე. ი. კომერციულზე, რომელი გარემოებაც, ქვეყნის კულტურულათ ჩამორჩენილობისა და დაუძლურების პირობებში, აუცილებლათ გამოიწვევს მასების შეგნებაში ამა თუ იმ წარმოების ადმინისტრაციის დაპირისპირებას იქ მომუშავე მშრომელების წინააღმდეგ.

**2. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი პროლეტარულ სახელმწიფოში და პროფკავშირები**

პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია ისე, რომ არ უღალატოს თავის ბუნებას, შექმნას თავისუფალი პირობები ვაჭრობისა და კაპიტალიზმის განვითარებისათვის გარკვეული ზომით და მხოლოთ იმ პირობით, თუ სახელმწიფო ჩარევა (თვალყურის დევნებით, კანტროლით, ფორმის და წესის შერჩევით და სხ.) კერძო ვაჭრობისა და კერძო წარმოების კაპიტალიზმის მოწესრიგებაში. ასეთი მოწესრიგების დადებითი შედეგები დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისაგან, არამედ კიდევ უფრო იმისაგან, თუ რა დონეზე სდგას სიმწიფე პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელთა მასების. გარდა ამისა დამოკიდებულია ის კულტურული მდგომარეობისაგან და სხვა. მაგრამ სრული წარმატებითაც რომ იწარმოოს ასეთი მოწესრიგების საქმე, ძალაში დარჩება მაინც კლასიური წინააღმდეგობა შრომასა კაპიტალს შორის. ამიტომ ერთ უუმთავრესი ამოცანათაგანი პროფკავშირების არის ამიერიდან ყოველმხრივი და სრული დაცვა პროლეტარიატის კლასიური ინტერესების მის ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, ერთი პირველ ადგილთაგანი უნდა მიუჩინოთ აშკარათ ამ ამოცანას, ამისდამიხედვით სათანადოთ უნდა მოეწყოს პროფკავშირების აპარატი, უნდა შეიცვალოს და შევსოს ის (უნდა მოეწყონ, ან უკეთესათ რომ ვსთქვათ, უნდა ეწყობოდეს საკონფლიქტო კომისიები, გაფიცვის ფონდები, ფონდები ურთიერთ დახმარების და სხვა.

**3 ეგრედ წოდებულ სამეურნეო ანგარიშიანობაზე გადაყვანილი წარმოებანი და პროფკავშირები**

სახელმწიფოებრივ წარმოებათა გადაყვანა ეგრედ წოდებულ სამეურნეო ანგარიშიანობაზე აუცილებლათ და მჭიდროთ დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან და ხლო მომავალში ეს ტიპი შეიქნება უეჭველათ ყველაზე უფრო გავრცელებული, თუ არა ერთათ ერთი. ფაქტიურათ ეს ნიშნავს, ნება დართული და განვითარების გზაზე შემდგარი თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, სახელმწიფოებრივ წარმოებათა უმთავრესათ კომერციულ საფუძველზე გადაყვანას. ეს გარემოება, შრომის ნაყოფიერების გადიდების აუცილებელ საჭიროებასთან და ყოველი სახელმწიფო წარმოების მიერ თავის ხარჯების დაფარვისა და მოგებიანობის მიხწევასთან ერთათ, ამასთან დაკავშირებულ უწყებრივ ინტერესებთან და უწყებრივ მუყაითობასთან ერთათ, აუცილებლათ ჰქმნის ინტერესთა ერთნაირ წინააღმდეგობას შრომის პირობების საკითხებში ერთი მხრივ მუშათა მასების და მეორე მხრით დირექტორების, წარმოების მმართველობის ან იმ უწყებათა შორის, რომლებსაც ეკუთვნიან ეს წარმოებანი. ამიტომ განსაზოგადოებრივებულ წარმოებათა მიმართ პროფკავშირებს ევალებათ მშრომელთა ინტერესების დაცვა, ხელის შეწყობა, რამდენათაც ეს მოსახერხებელია, მათი ეკონომიური ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლათ, შეცდომების და გადამეტებული იმედების გასწორება მუდამ, რამდენათაც ისინი გამომდინარეობენ სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ გაბრუნდებისაგან.

**4. არსებითი განსხვავება პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის ისეთ სახელმწიფოში სადაც მიჩნეულია კერძო საკუთრება მიწაზე, ფაბრიკებზე და სხვ და სადაც პოლიტიკური ძალა-უფლება ხელთ აქვთ, კაპიტალისტთა კლასს და პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის შორის ისეთ სახელმწიფოში რომელიც უარჰყოფს კერძო საკუთრებას მიწაზე და მსხვილ წარმოებათა უმრავლეს ნაწილზე, სახელმწიფოში, დომელშიაც პროლეტარიატს უპყრია ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება.**

სანამ არსებობენ კლასები, კლასიური ბრძოლაც აუცილებელია, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ ხანაში კლასების არსებობა აუცილებელია და რუსეთის კომპარტიის პროგრამაც სრული გარკვევით ამბობს, რომ ჩვენ ვდგავართ მხოლოთ პირველ ნაბიჯებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელათ. ამიტომ როგორც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ძალა-უფლებამ, ისევე პროფკავშირებმაც, აშკარათ უნდა აღიარონ ეკონომიური ბრძოლის არსებობა და მისი აუცილებლობა მანამდი, სანამ არ დათავებულა თავის უმთავრეს ნაწილში მაინც ელექტროფიკაცია მრეწველობის და მიწათმოქმედების, სანამ ამით არ გადაჭრილა ყველა ძირები წვრილი მეურნეობის და ბაზრის ბატონობის.

მეორეს მხრივ, ცხადია, რომ კაპიტალიზმის დროს გაფიცვის საბოლოო მიზანია სახელმწიფოებრივი აპარატის დანგრევა, ამა თუ იმ კლასის სახელმწიფოებრივი ბატონობის დანგრევა. ხოლო გარდამავალი ტიპის (როგორც ეს ჩვენ შემთხვევაშია) პროლეტარულ სახელმწიფოში მუშათა კლასის ყოველი გამოსვლის საბოლოო მიზანი შეიძლება იყოს მხოლოთ გამაგრებულ პროლეტარული სახელმწიფოსი, პროლეტარული კლასიური სახელმწიფო ძალა-უფლების, ამ სახელმწიფოს ბიუროკრატიული გაბრუნდებასთან ბრძოლით, მის შეცდომებთან, მის სუსტ მხარეებთან, მისი კანტროლიდან თავ დამძვრალ კაპიტალისტების კლასიური აპეტიტებთან და სხვ. ამიტომ არც კომპარტია, არც საბჭოთა ძალა-უფლება, არც პროფკავშირები ვერასგზით ვერ დაივიწყებდა და მათ არ უნდა დამალონ მუშებისა და ყველა მშრომელებისაგან ის, რომ გაფიცვის იარაღით სარგებლობა ისეთ სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, შეიძლება ახსნა და გაამართლო პროლეტარული სახელმწიფოს მხოლოთ ბიუროკრატიული „გაბრუნდებით" და კაპიტალისტური ძველი წყობილების ყოველნაირ ნაშთებით, რომლებიც შემორჩენ მის დაწესებულებებში—ერთი მხრით და მშრომელთა მასების პოლიტიკურ განუვითარებლობით და კულტურული ჩამორჩენილობით—მეორე მხრით.

ამიტომ მუშათა კლასის ცალკე ჯგუფების კონფლიქტების დროს მუშათა სახელმწიფოს ცალკე დაწესებულებებთან და ორგანოებთან, პროფკავშირების ამოცანაა ხელი შეუწყონ ამ კონფლიქტების ჩქარ და უმტკივნეულო გადაჭრას მათ მიერ წარმოდგენილი მუშათა ჯგუფების მაქსიმალურათ სასარგებლოთ, რამდენადაც ამის განხორციელება შეიძლება უზიანოთ სხვა ჯგუფებისათვის და მუშათა სახელმწიფოს და მის მეურნეობის განვითარებისათვის საერთოთ, რადგან მხოლოთ ასეთი განვითარებით იქნება მოსახერხებელი შეიქმნას საფუძველი მუშათა კლასის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის. ერთათ ერთი სწორი ჯანსაღი და მიზანშეწონილი მეთოდი კონფლიქტების გადასაჭრელათ მუშათა კლასის ცალკე ჯგუფების და მუშათა სახელმწიფოს ორგანოებს შორის არის პროფკავშირების ჩარევა, როგორც შუამავლების, რომლებიც (პროფკავშირები) თავის პასუხისმგებელ ორგანოების სახით ან აწარმოებენ მოლაპარაკებას დაინტერესებულ სათანადო სამეურნეო ორგანოებთან, ორივე მხარეების გარკვეულ მოთხოვნათა და წინადადებათა მიხედვით ან და მიმართავენ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინსტანციებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო ორგანოების შემცდარი ნაბიჯების, მუშათა ზოგიერთი ჯგუფების ჩამორჩენილობის, კონტრ რევოლიუციონური ელემენტების პროვოკაციული მუშაობის ან დაბოლოს თვით პროფკავშირთა ორგანიზაციების წინდაუხედაობის გამო ადგილი ექნება აშკარა კონფლიქტს, როგორც გაფიცვას, სახელმწიფოებრივ წარმოებებში და სხვა, პროფკავშირების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყონ კონფლიქტის ჩქარ ლიკვიდაციას ისეთი ზომების მიღებით, რომლებიც გამომდინარეობენ პროფკავშირების მუშაობის ხასიათიდან: ზომების მიღება ნამდვილ შეცდომების და უწესრიგობის თავიდან მოსაცილებლათ, მასების კანონიერი და არსებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ, პოლიტიკური გავლენის მოხდენა ამ მასებზე და სხვა.

ერთ უმნიშვნელოვანესი და სწორი საზომი პროფკავშირების მუშაობის სისწორით და წარმატების არის ის. თუ რამდენათ მოხერხებულათ იცდენს ის თავიდან კონფლიქტებს სახელმწიფოებრივ წარმოებებში წინანდელი პოლიტიკის საშუალებით, რომელიც მიმართულია მუშათა მასების ინტერესების ნამდვილ და ყოველმხრივ დასაცავათ და კონფლიქტების საბაბის თავის დროზე თავიდან ასაცილებლათ.

**5. ნებაყოფლობითი წევრობისკენ დაბრუნება პროფკავშირებში.**

პროფკავშირების ფორმალურმა დამოკიდებულებამ კავშირების წევრებათ დაქირავებულ შრომის სულ ერთიანათ ყველა პირების ჩარიცხვასთან შეიტანა რამდენიმეთ ბიუროკრატიული დამახინჯება პროფკავშირებში და მოსწყვიტა ეს უკანასკნელები მათი წევრების ფართო მასებს; ამიტომ აუცილებლათ საჭიროა სრული გადაჭრით განხორციელება ნებაყოფლობითი წევრობის, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შესვლის მხრივ კავშირებში. პროფკავშირების წევრებისაგან არას შემთხვევაში არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს განსაზღვრული პოლიტიკური შეხედულებები; ამ მხრივ როგორც რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხში, პროფკავშირები უნდა იყვნენ უპარტიო. პროფკავშირების წევრებისაგან პროლეტარულ სახელმწიფოში უნდა მოთხოვნილ იქნეს მხოლოთ ამხანაგური დისციპლინის შეგნება და მუშათა ძალების ერთობის აუცილებელი საჭიროება მშრომელთა ინტერესების დასაცავათ და მშრომელთა ხელისუფლებისათვის, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ. პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა წაახალისოს მუშათა პროფგაერთიანება, როგორც უფლებრივის, ის მატერიალურის მხრივაც. მაგრამ არავითარი უფლება არ უნდა ქონდეთ პროფკავშირებს უვალდებულოთ.

**6. პროფკავშირები და საწარმოვო დაწესებულებების მართვა.**

პროლეტარიატის უმთავრეს და უაღრესათ ძირითად ინტერესს სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ წარმოადგენს ნაწარმოებთა რაოდენობის გამრავლება, საზოგადოების საწარმოვო ძალთა უდიდესათ გაზრდა. ეს ამოცანა, რომელიც ნათლათაა წამოყენებული რ.კ.პ. პროგრამაში, განსაკუთრებით გამწვავებელია ჩვენში ახლა ომის შემდეგი ხანის გაპარტახებით, სიმშილით და არევ-დარევით. ამიტომ, რაც შეიძლება, სწრაფი და, რაც შეიძლება, უფრო მტკიცე წარმატება მსხვილი მრეწველობის აღდგენის საქმეში,—არის პირობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების მთელი საქმის წარმატებით დასრულება, წარმოუდგენელია სოციალიზმის გამარჯვება, ხოლო ასეთი წარმატება კი, თავის რიგზე მოითხოვს უსათუოთ, თანამედროვე რუსეთის პირობებში, მთელი სრული ძალაუფლების საქარხნო მართველობათა ხელში მოქცევას. ეს სამართველოები, რომლებიც აგებული არიან საერთო წესის მიხედვით ერთპიროვნული გამგებლობის ნიადაგზე, დამოუკიდებლათ უნდა განაგებდენ სამუშაო ქირის ზომის დაწესებასაც და ფულის ნიშნების, ულუფების, სამუშაო ტანსაცმლის და ყოველგვარი სხვა მომარაგების განაწილებასაც პროფკავშირებთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებათა ნიადაგზე და ფარგლებში და მანევრობის მაქსიმალურ თავისუფლებას, წარმოების ზრდაში ფაქტიურ წარმატებათა და მის უზარალობასა და მოგებიანობის სასტიკათ გასინჯვის ყველაზე უფრო გამოჩენილ და მცოდნე ადმინისტრატორების მეტათ სერიოზულათ გადარჩევის და სხვათა ნიადაგზე.

პროფკავშირების ყოველი უშუალო ჩარევა საწარმოვო დაწესებულებათა მართვაში უნდა მიჩნეულ იქნეს ამ პირობებში უსათუოთ საზიანოთ და დაუშვებლათ.

მაგრამ სრულიად არ იქნებოდა სწორი ამ უდავო ჭეშმარიტების განმარტება იმ აზრით, რომ ის ვითომ უარყოფდეს პროფკავშირების მონაწილეობის მიღებას მრეწველობის სოციალისტურათ ორგანიზაციასა და სახელმწიფო მრეწველობის მართვაში. ეს მონაწილეობა აუცილებელი საჭიროა წმინდათ განსაზღვრულ, სახელდობრ, შემდეგ ფორმებში.

(დასასრული იქნება)

ცდილობს ფეხი დაიბჯოს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მოითხოვს, რომ სამოსამართლო ბროქაულმა აიძულოს მოვალე თავის ვალის გადახდა. ცუდი ინფორმაციის წყალობით, ინგლისელები და ამერიკელები ამტყუნებენ საფრანგეთს განიარაღებაზე უარის თქმაში, ამტყუნებენ მას იმაში, რომ ის ანადგურებს მსოფლიოს, მაშინ როცა ამერიკის და ინგლისის სამხედრო ბიუჯეტი მეტია, ვინემ საფრანგეთის. საფრანგეთს აწერენ ყოველნაირ ოინებს, მაგრამ ლონდონის კაბინეტმა არ დაუცადა საფრანგეთის მთავრობის კრიზისის დამთავრებას და ისე განიხილა გენუას კონფერენციის საკითხი. წინასწარ გრძნობენ რა გენუის კონფერენციის დამარცხებას, ბრიტანეთის მთავრობა და პრესა ეხლავე აკისრებენ საფრანგეთს პასუხისმგებლობას იმედის გაცრუებისათვის, რომელშიაც თვითონ არიან დამნაშავენი. ასეთ პირობებში, წერს დასასრულ გოვენი, უკეთესია განზე დგომა და თავშეკავება გამოსვლებიდან, რომლებსაც შეუძლიათ არასასურველი შეხლა—შემოხლის გამოწვევა.

### ინგლის-ბელგიის დამოკიდებულება.

**ნაუენი**, 3 თებერვალი. (რადიო). „დეილ-ქრონიკლ“ იტყობინება: ინგლისის მთავრობამ უარყო ბელგიის წინადადება ინგლის-ბელგიის კავშირის დადების შესახებ 10 წელზე უფრო მეტის ვადით.

### ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა.

**განოვერი**, 3 თებერვალი (რადიო). „ენტრა სიჟენი“ ამტკიცებს, რომ ინგლისი მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულებას გადასინჯვას სეპარატიულ საკითხში. შესაძლებელია, რომ ლოიდ ჯორჯი უმაღლეს საბჭოს უახლოეს სხდომაზე აღძრავს ამ საკითხს.

# ქრონიკა

◆ **სამოქალაქო მდგომარეობის სიგელების ჩაწერის განყოფილება.** ცენტრალურმა განყოფილებამ თბილისის ქალაქის რევკომის აღმასკომთან წარსულ იანვარში ჩაწერა 91 დაბადება, 159 სიკვდილი, 154 ქორწინება, 30 განქორწინება და 5 გვარის გამოცვლა. დიდუბის და ავლაბრის განყოფილებებს ჯერ ასეთი ცნობები არ მოუწვდიათ.

◆ **ხაზინის გახსნა.** განზრახულია ხაზინის გახსნა ცხინვალში.

◆ **შავი სახადი და ყვავილი.** თბილისის ქალაქის ჯანმთელობის დაცვის განყოფილების ცნობებით, 1921 წლის 1 სექტემბრიდან 1922 წ. 1 თებერვლამდე თბილისში შავი სახადით ავათ გახდა—413; მათგან მორჩა—220 და მოკვდა 19. სიკვდილის პროცენტი—46 ამ ავათმყოფთა რიცხვიდან იანვარში ავათ გახდა—280, მორჩა—144 და მოკვდა—10. გარდაცვლილთა მცირე პროცენტი აიხსნება უმთავრესათ თითონ მოარულის ხასიათით, რომელიც ცუდათ არ მიმდინარეობს, ავათმყოფთა წამლობის და მოვლის გაუმჯობესებაზეა ყვავილით 1 სექტემბრიდან 1 თებერვლამდე ავათ გახდა—93, მორჩა—45, მოკვდა—18, სიკვდილის პროცენტი—19,36. იანვრის განმავლობაში ავათ გახდა—36, მორჩა—15 და მოკვდა - 4. ის ავათმყოფნი, რომლებიც შინ წამლობდნენ, აქ არ არიან ჩათვლილნი.

◆ **სწრაფი მატარებლები.** შეცვლილია სწრაფი მატარებლების (მოსკოვის) გაგზავნის დღეები. მატარებელი № 5 გაიგზავნება თბილისიდან ოთხშაბათობით, ბაქოში მივა და იქიდან გაიგზავნება რუსეთისკენ ხუთშაბათობით. მატარებელი № 6 მივა ბაქოში კვირაობით. თბილისში—ორშაბათობით (არსებულ მოძრაობის ცხრილით). შეცვლილია აგრეთვე მატარებლების №№ 9 და 10 გაგზავნის დღეებშიც. № 9 გამოიგზავნება ბათომიდან და მოვა თბილისში კვირაობით, ბაქოში მივა ორშაბათობით და იქიდან გადის სამშაბათობით. № 10 ბაქოში მიდის და იქიდგან გადის ოთხშაბათობით, თბილისში — ხუთშაბათობით, ბათომში მიდის - პარასკეობით.

◆ **რკინის გზის საქალაქო სადგური.** ამ მოკლე ხანში ერევნის მოედნის რაიონში გაიხსნება რკინის გზის საქალაქო სადგური, რომელიც გაყიდის ადგილობრივ და პირდაპირ სამგზავრო მატარებლების ბილეთებს და აგრეთვე მიიღებს ბარგსა და საქონელს მცირე და დიდი სიჩქარით გასაგზავნ საქონელს ფუთობით (ესე იგი 50 ფუთამდე).

◆ **დატვირთულ ვაგონების მოგროვება.** სადგურ ნავთლუღსა, გუმბრსა და სხვა სადგურებში დატვირთულ ვაგონების გამო, დროებით შეწყვეტილია იმ ტვირთის მიღება, რომელიც ნავთლუღიდან სამხრეთისკენ იგზავნება (გუმბრსა, ერევანსა, ჯულფასა, ყარსში).

◆ **ბათომის ნავთსადგური.** 4 თებერვალს ბათომში კონსტანტინეპოლიდან მოვიდა იტალიის გემი „მარტინინო“, რომელმაც მოიტანა 15670 ფუთი სასურსათო ტვირთი. ბათომიდან გავიდნენ: რუსეთის გემი „დიმიტრი“ ოდესაში 10.600 ფ სხვა და სხვა ტვირთით და იტალიის გემი „ალბანიე“ კონსტანტინეპოლში 1100 ფ. სხვა და სხვა ტვირთით

◆ **გადასახლებულთა გადაყვანა.** 8 თებერვლიდან სადგურ გუმბრიდან დაიწყებენ იმ მოლოკნების გადაყვანას, რომლებიც ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციიდან (ყოფილ ყარსის ოლქიდან მიდიან დასასახლებლათ დონის ოლქის ხალიის მაზრაში. ამიერკავკასიის რკინის გზის ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებით მათ გადასაყვანათ დანიშნულია 8 მატარებელი, 35 ვაგონის შემადგენლობით თითო.

◆ **რკინის გზების ტარიფის გადიდება.** ამიერ კავკასიის რესპუბლიკების რკინის გზების მმართველობამ დეპეშები დაგზავნა გზებზე იმის შესახებ, რომ 5—6 თებერვალს შუაღამიდან ამიერ კავკასიის რესპუბლიკების გზებზე აწ არსებული ტარიფები მგზავრთა გადაყვანისა და ბარგისა და საქონლის გადაზიდვისა—დიდდება. მგზავრთა წაყვანის, ტვირთის და მცირე და დიდი სიჩქარის საქონლის გადაზიდვის ფასები და გადასახადები. დამატებითი ვაგონების და ორთქლმავლების მოკემის, პერონის, ბარგის შენახვისა სადგურების საწყობებში—დიდდება ეთი ოთხათ. პლაცკარტის გადასახადი საშიკრიკო მატარებლებზე №, 1 და 2 დიდდება ერთი ორათ, ხოლო საჩქამატარებლებზე № 5 და 5 მოსკოვისა —ერთი ოთხათ. დასატვირთ და განსატვირთავ ვაგონების გაჩერების ფასი ჯერ შეუცვლელი რჩება

◆ **დღეს თეატრებში.** **სახელმწიფო ოპერა**—ბალეტი: 1) დიონის დღესასწაული, 2) ცხენოსან ჯარის შესვენება. . **რუსთაველის თეატრი**—სინათლე—მე 2 ნაწილი (ქართულ ენაზე **მცირე თეატრი**—ყველასათვის მისაწვდომი წარმოდგენა, **რევოლიუციონურ-მხატვრული თეატრი**—მარგარიტა გოტიე. **საკამერო თეატრი**—სომხური წარმოდგენა, **სახალხო სახლი**—საოპერო წარმოდგენა. **საქართველოს წითელ არმიის ცენტრ. კლუბი**—არტისტი ქალის მ. ი. ზალიპსკის იუბილე, საოპერო წარმოდგენა, სცენები დ მოქმედებები ოპერებიდან: ტრავიატა, სადკო, ფაუსტი, ბოჰემა, ლაკმე, სნეგუროჩკა, რიგოლეტო. ბოლოს არტისტის პატივისცემა. **მუშათა ცენტრ.** კლუბი—საღამო წარმოდგენა. **ახალი თეატრი მ. ც. კ.**—კინო **კონსერვატორია**—სონატის საღამო გრიგისა, შეასრულებენ ვ. დროზდოვი და ვ. ლასე. **ცირკი**—მრავალნაირი პროგრამა. **კინო თეატრები: მინიონი**—ეთრები და შავები. **აპოლო**—სტენკა რაზინი. **არფასტო**—არსენ ჯორჯიაშვილი. **ალკრე**—ახალი პროგრამა. **სარკის**—ახალი პროგრამა და **კინო არსი**—პრინც საში.

# ყვავილი

უკანასკნელ ხანებში თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ძლიერ გავრცელდა ყვავილი. ამ ავადმყოფობას აქვს ისეთი თვისება გადადებისა, რომ გადადის არა მარტო შეხებით ავადმყოფთან, არამედ ჰაერითაც. და თუ საქართველოს მცხოვრებნი თავის დროზე არ მიიღებენ ზომებს ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ, ის მიიღებს განმანადგურებელ ეპიდემიის ხასიათს.

ყვავილი არის ცნობილი უძველეს დროიდან, მან მოგვცა ჩვენ 581 წ. განმანადგურებელი ეპიდემია სამხრეთ საფრანგეთში და ჩრდილოეთ იტალიაში. გერმანიაში ყვავილის ეპიდემია იყო აღწერილი 1493 წ.

მე-16 საუკუნეში ყვავილი მძვინვარებდა ამერიკაში. რუსეთში პირველად გაჩნდა 1610 წ. აგრეთვე ციმბირში მძვინვარეებდა ნორემში ოსტიაკების ტომებში. 1741 წელს გაჩნდა ყვავილის ეპიდემია პეტერბურგში, ამის შემდეგ ეპიდემია პერიოდულათ ჩნდებოდა, როგორც ევროპაში ისე აზიაში, და 28 წლის განმავლობაში მოგვცა 1182966 შემთხვევა ავადმყოფობის და 275401 შემთხვევა სიკვდილის (ე. ი. ერთი მეოთხედი ავადმყოფობისა).

ყვავილი განირჩევა თავისი უკიდურეს გადამდებლობის თვისებით; მიკრობი ყვავილის დღემდის გამოურკვეველია. მაგრამ ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ ავადმყოფობის გავრცელებაზე არ მოქმედობს არც ატმოსფერული და არც კლიმატიური პირობები. იგი გვხდება დედამიწის ზურგის ყოველ ნაწილში და ყოველგვარ კლიმატიურ ადგილებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის მიმზიდველობას ყვავილისადმი, ასეთი ბუნებრივი მიმზიდველობის თვისება აქვს ხალხის უმრავლეს ნაწილს, განურჩევლათ წლოვანებისა. თითქმის შეიძლება რომ დედის მუცელშიაც გადაედვას ყვავილი ახალგაზრდა ნაყოფს ავადმყოფ დედიდან. ქალებს თვიურის და ორსულობის დროს ემჩნევათ რამდენიმეთ გაძლიერებული მიმზიდველობა ავადმყოფობისადმი. ყვავილი ორსულთათვის უფრო ძნელი მოსახდელია.

ყვავილის გამომწვევი, ეჭვს გარეშეა, რომ მოთავსებულია მის მუწუკში. ძლიერ გადამდებია აგრეთვე გამხმარი და დაცვენილი მუწუკის ძირები. ფიზიოლოგიური ნაწილები ავადმყოფისა არ არის გადამდები, თუ მათში არ მოხდა მუწუკის ჩირქი. გადამდებლობის დასაწყისი იმყოფება ყვავილის ფენაში (сыпь), ადვილათ გადადის გარშემო მყოფ ჰაერზე და სწამლავს მას საკმაო მანძილზე. ყვავილი შეიძლება გადაედვას ჯანმრთელებს აგრეთვე გამოყრამდისაც. გადამდებ ბაცილებს აქვთ ის თვისება, რომ შერჩეს ავადმყოფის ახლო მახლო მდებარე საგნებს, როგორც არის, საცვლები, ტანისამოსი, ოთახის კედლები და იატაკი.

მეტად დიდხანს რჩებიან გადამდები ბაცილები შალის საგნებზე, მაუდის ტანისამოსზე, და სხვა, განსაკუთრებით კი იმ საგნებზე, რომლებიც მოკლებული არიან ჰაერს

ყვავილის ავადმყოფობის გვამები წარმოადგენენ აგრეთვე დიდ საფრთხეს გადამდებლობისადმი. ინფექცია ყვავილის შედის დაზიანებულ კანის და სასუნთქავ ორგანოების საშუალებით; აგრეთვე გადადება სწარმოებს საჭმლის მომნელებელ ორგანოებიდან, გადადების მომენტიდან 10—14 დღის შემდეგ და ხანდისხან 5—7 დღის შემდეგ გაჩნდება პირველი სიმპტომები.

ავადმყოფობა იწყება მგრძნობიარე შეცივებით, რის შემდეგაც სიცხე სწრაფად იწევს 39,5—40 გრ. დ ავადმყოფი გრძნობს მწვავე ტკივილებს უმეტეს ნაწილად წელისას, აგრეთვე თავის ტკივილებს და მუცლის შეკრულობას.

2—3 დღის შემდეგ (იშვიათად 4 დღის შემდეგაც) გამოჩნდება დამახასიათებელი ფენა, ერთხელ გამხდარი ამ ავადმყოფობით, მეორეთ ავათ არ ხდება.

რათა მოისპოს ეპიდემია, აუცილებელ პირობას მასთან საბრძოლველათ წარმოადგენს ავადმყოფის იზოლიაცია; და თუ იზოლიაცია ავადმყოფის სახლში არ ხერხდება, აუცილებელია მისი ამისთვის სპეციალურ საავადმყოფოში გადაყვანა, რომელსაც ბარაკი ჰქაიან. ავადმყოფის ყოველ ტანისამოსს და ოთახს უნდა გაუკეთდეს საფუძვლიანი დეზინფექცია; თუ კი რომ იქნება შემთხვევა, არ უნდა დაიფაროს და სწრაფ ეცნობოს სადეზინფექციო კამერას (ქალაქის სადეზინფექციო კამერა, ტელეფონი 1—72).

ზევით იყო თქმული, რომ ავადმყოფობა არ მეორდება, მაშასადამე, იმ ბუნებრივ მიმზიდველობას ყვავილისადმი, რომელიც იმყოფება ავადმყოფობამდის, სპობს თვითონვე ავადმყოფობა და ამიტომ ადამიანს განმეორებით ყვავილი არ ემართება.

რომ ადამიანი არ გახდეს ავად, ეპიდემია არ გავრცელდეს და აგრეთვე მოისპოს კაცის ორგანიზმში ის გუნებრივი მიმზიდველობა ყვავილის ინფექციისადმი, საჭიროდ სცნობენ ვაქცინებს, რომლითაც უცრიან. ასეთი საშუალება ყვავილის არის ერთად ერთი რადიკალური მხარე ამ ეპიდემიასთან საბრძოლველათ.

სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა დააარსა ორგანო, რომელსაც მიზნათ აქვს გაატაროს ცხოვრებაში მასსიური აცრა მთელ რესპუბლიკაში; ამ ჟამად კი აცრა სწარმოებს ქალაქის ყოველ ამბულატორიაში, ც. დამზღვევი კასის ამბულატორიაში, დაწესებულებებში და სხვა (ყვავილის ჩირქი შეიძლება მიიღოთ ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში ჯანსალ. კომისარიატისა. სერგიევის ქ. № 4).

იმათ, რომელთაც არ აუცრიათ, ვალდებულნი არიან მოვიდენ ასაცრელ პუნქტზე და აიცრან.

ამ შემთხვევაში მომუშავე მასსა უნდა დაეხმაროს ამ საექიმო ორგანოებს და თავის შეგნებულ და კულტურულად საქმისადმი მოპყრობით დაავალდებულოს ყველა მცხოვრებლები, რათა შეასრულონ თავის მოქალაქეობრივი მოვალეობა და მოგვცენ საშუალება ეპიდემიასთან ბრძოლის, მაშინ ეპიდემია აღარ იქნება საშიშო, ის თავისთავად მოისპობა და მცხოვრებლები განთავისუფლდებიან ასეთ ზედმეტი მსხვერპლისაგან, რომელიც მოაქვს ყოველ ეპიდემიას და განსაკუთრებით კი ასეთ საშიშო და დამამახინჯებელს, როგორიც არის ყვავილი.

ჯანსახკომისასანიტარო საეპიდემიო განყოფილების გამგე ექიმი **ნაზარეტიანი.**

# საბჭოთა არჩევნები საქართველოში

## თელავის მაზრა.

თელავის სამაზრო საარჩევნო კომისია 3 თებერვლის დეპეშით დამატებითი ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემდევს:

**ნაფარეულის თემი** მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 3356 კაცს, ამომრჩეველთა რიცხვი—1714, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 800 ამომრჩეველი ორივე სქესისა. სათემო საბჭოში არჩეულია 34 დეპუტატი, რომელთა შორის 24 კომუნისტია და 10 უპარტიო.

**ფშავლის თემში.** მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 1414 კაცს, ამომრჩეველთა რიცხვი—776-ს, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 250 ამომრჩეველი ორივე სქესისა. სათემო საბჭოში არჩეულია 14 დეპუტატი, რომელთა შორის 10 კომუნისტია და 4 უპარტიო.

**ქვემო ალვაგის თემში** მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 1147 კაცს, ამომრჩეველთა რიცხვი—635-ს, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 400 ამომრჩეველი ორივე სქესისა. სათემო საბჭოში არჩეულია 11 დეპუტატი—ყველა უპარტიო.

**მაღრაანის თემში.** მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 1449 კაცს, ამომრჩეველთა რიცხვი—569 ს, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 200 ამომრჩეველი ორივეს სქესისა. სათემო საბჭოში არჩეულია 14 დეპუტატი, რომელთა შორის 9 კომუნისტია და 5 უპარტიო.

**ზემო ალვანის თემში.** მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 2416 კაცს, ამომრჩეველთა რიცხვი—1327 ს, რომელთაგან საარჩევნო კრებას დაესწრო 300 ამომრჩეველი ორივე სქესისა. სათემო საბჭოში არჩეულია 24 დეპუტატი, რომელთა შორის 16 კომუნისტია და 8 უპარტიო.

## აგიტ-მატარებლის მუშაობის შედეგები.

აგიტ მატარებელი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით გავიდა თბილისიდან 13 იანვარს რკინის გზის ყველა მიმართულებით, თებერვლის პირველს უკვე დაბრუნდა თბილისში. მისი მიმოსვლის მთავარ მიზანს შეადგენდა—გზა და გზა გაეწია პროვინციის მცხოვრებთათვის წინასწარი საარჩევნო აგიტაცია, აეხსნა ხალხისათვის არჩევნების მიზანი და მნიშვნელობა; შეჩერებულიყო რკინის გზის ლიანდაგის ახლოს მდებარე მთავარ პუნქტებში მაინც და ეჩვენებინა მცხოვრებთათვის ეკრანების საშუალებით არჩევნებისათვის დამზადებული სხვა და სხვა გვარი სურათები და პლაკატები, გაევრცელებინა თან წაღებული მოწოდებები, მოეხდინა ყველგან მიტინგები და წაეკითხა მსმენელთათვის მოხსენებები არჩევნების შესახებ. ამის განსახორციელებლად მატარებელს თან ახლდა საკმაო რიცხვი სათანადოთ მომზადებულ ინსტრუქტორებისა და ხელმძღვანელებისა. როგორც აგიტ-მატარებლის პოლიტკომის ამხ. **გ. საყვარელიძის** მოხსენებიდან სჩანს, ამ მატარებლის საშუალებით ზემოხსენებულ დროის განმავლობაში 9 სხვა და სხვა პუნქტში გამართულა 14 მიტინგი, რომლებსაც საშუალო რიცხვით დასწრებია 9000 კაცამდე და რომლებზედაც წაუკითხავთ მოხსენებები, გაუვრცელებიათ მოწოდებები, უჩვენებიათ სხვა და სხვა სურათები, აუხსნიათ საბჭოთა არჩევნების სისტემა, მისი მიზანი, მნიშვნელობა და სხვა.

სახელდობრ სურათები უჩვენებიათ და მიტინგები გამართულა შემდეგ ადგილებში:

1. შორაპანსა და ზესტაფონში. დასწრებია 600—700 კაცამდე.
2. ქუთაისში. პირველად დასწრებია 800 კაცამდე, ხოლო მეორეთ 500—600 კაცამდე.
3. ტყიბულში დასწრებია 1000 კაცზე მეტი, რომლებიც აღფრთოვანებით დახვედრიან მისულ სტუმრებს.
4. ფოთში. სამ მიტინგს დასწრებია საშუალოდ 2000 კაცამდე.
5. ნატანებში. დასწრებია 200—300 კაცამდე.
6. ლანჩხუთში დასწრებია 600 კაცამდე.
7. სამტრედიაში დასწრებია 700 კაცამდე.
8. ხაშურში 2 მიტინგს დასწრებია საშუალოდ 2000 კაცამდე.
9. გორში დასწრებია 700—800 კაცამდე.

# პატარა ფელეტონი

## 27 იანვარი

მამა ტიმოთე წვერცანცარიძის ოჯახში ჩუმი ფაცი-ფუცი და მზადება იყო.

ფოფოდია სამზარეულოში ტრიალობდა და გოგო ბიჭს სარდლობას უწევდა. თითონ მღვდელი კი სათითაოდ მოსულ სტუმრებს სიფრთხილით უღებდა კარებს და სასტუმროში უძღვებოდა.

ტიმოთეს ბინაზე ამ საღამოს დანიშნული იყო მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო სხდომა.

თუმცა მამა ტიმოთე თითონ არ იყო კომიტეტის წევრი, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეთ კაი ხანია ირიცხებოდა.

ამხანათ მასთან იმალებოდა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრთაგანი და ამიტომ სხდომაც აქ იყო დანიშნული, რადგან მღვდლის ბინა კონსპირატიულათაც უფრო უზრუნველყოფილათ ითვლებოდა.

შეღამდა თუ არა კომიტეტის წევრები სრული შემადგენლობით გამოცხადდენ. არავინ დაკლებია, რადგან საზღვარ გარეთ გაქცეულებსა და დატუსაღებულებს გარდა მათი რიცხვი ისედაც მეტათ მცირე იყო.

დღის წესრიგში კომიტეტს, სხვათა შორის, ერთი თავსახეთქი საკითხი ედგა: ეს იყო დიდი რევოლიუციის მეექვსე წლის თავის დღესასწაული 27 თებერვალს. ვერ გამოერკვიათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ამ დღეს: არ ედღესასწაულათ ეს უდიდესი რევოლიუციის დღე—უხერხული იყო; ედღესასწაულათ და კიდევ უარესი, რადგან ამ დღეს ბოლშევიკებიც ხომ იდღესასწაულებდენ და მათი საზიარო დღე-ღამე და მიწა და ცა რომ ჰქონდათ, ისიც ეჯავრებოდათ კომიტეტის წევრებს.

ამ საკითხის გარშემო ატეხილ გაცხარებულ კამათში მამა ტიმოთე არ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ შორი ახლოდან ყურს კი უგდებდა. ბოლოს მან მორიდებით შეეკითხა თავმჯდომარეს,—შეიძლება თუ არა მანაც გამოთქვას თავისი აზრი ამ საგნის შესახებ. მიიღო რა დასტური თავმჯდომარისაგან, ტიმოთემ გადიწირა პირჯვარი, გაისწორა თმა და წვერულვაში და დაიწყო:

— „ეძიებდეთ და ჰპოებდეთ“,—რქვა უფალმან ჩვენმან. თქვენც ეძებთ გამოსავალს მოჯადოებულ წრიდან, მაგრამ ვერ გიპოვიათ ჯერ. ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას. მისმინეთ მე, ღვთის ცოდვილს,—იქნებ ჩემი პირით ღაღადობს მადლიანი ჭეშმარიტება.

პირველ ყოვლისა გეტყვით მე თქვენ,—იჯმენით ბოლშევიკებისაგან აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე. მაგრამ ეს შეუძლებელი არის, უკეთუ არ იჯმნით რევოლიუციისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობენ დღეს ბოლშევიკები“.

დამსწრეთა შორის მოძრაობა და ჩოჩქოლი შეიქმნა.

მამა ტიმოთემ ხელებით ანიშნა დაწყნარდითო და სიჩუმის დამყარების შემდეგ განაგრძო:

— „ ჭეშმარიტათ მეტყვით თქვენ,—ბევრის მოსურნე ცოტასაც დაჰკარგავს; ორი კურდღლის ერთი ხელით დაჭერაც შეუძლებელია!

უკეთუ თქვენ გსურთ ღვთისმშობლის წილხვედრილ ივერიის წარმატება, ახსენეთ სახელი უფლისა ჩვენისა და იპყარით ხელში [illegible] ... თარცა იპყრა იგი [illegible] ელმა წმინდა ნინომ, რომლის ხსენების დღე არის ოცდა შვიდი იანვარი. თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში დღესასწაულობდა ქართველი ერი ამ წმინდანის დღეს. მეექვსე წელი გახდება წრეულს, რაც დღესასწაულობენ ბოლშევიკები ოცდა შვიდი თებერვლის დღეს. რა შედარებაა! გეტყვით და მისმინეთ მე თქვენ: გაოცებას დიდს მიეცემიან ბოლშევიკები, ოდეს სცნობენ რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია საქართველოში დღესასწაულობს ოცდა შვიდ იანვარს, წმინდა ნინოს დღესასწაულს, და უარყოფს ოცდა შვიდ თებერვალს,—მათი რევოლიუციის წლის თავს. გაშტერებით და გაოცებით დაუწყებს ჰვრეტას მთელი მსოფლიო ქართველი ერის ასეთ ქრისტიანულ მართლმორწმუნეობრივ მოქმედებას და გვეტყვის: კეთილი იყოს თქვენი მორწმუნეთა ოჯახში შემოსვლაო ასის შემდეგ ვერავითარი ძალა ვეღარ ამოშლის საქართველოს ისტორიის ფურცლებიდან!“

მამა ტიმოთემ ხელახლა გადისახა პირჯვარი, გაისწორა თმა—წვერი და დადუმდა.

წუთში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. როდესაც დარწმუნდენ, რომ მღვდელმა გაათავა თავისი სათქმელი,—ხელახლა ჩოჩქოლი ასტყდა. რამდენიმე დამსწრეთაგანს დაავიწყდა, რომ კონსპირატიულ სხდომაზე იყვნენ და ტაშიც კი დაუკრეს.

ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ მამა ტიმოთეს სიტყვებით.

ცოტა ხნის მსჯელობის შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული ტიმოთეს წინადადება, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია იდღესასწაულებს წმინდა ნინოობის დღეს, ოცდა შვიდ იანვარს.

საამდღეო პროკლამაციის შედგენა მიანდვეს თვით ტიმოთეს.

და აი, ოცდა შვიდ იანვარს აქა-იქ გავრცელებულ იქნა მამა ტიმოთეს მიერ შეთხზული ქადაგება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ ხელმოწერილი.

მაგრამ ბოლშევიკები რაღა ბოლშევიკებია, თუ თავიანთი კვანტი არ გამოჰკრეს იქ, სადაც არავინ არ ელის ამას!

შრომის კომისარმა არჩილ მიქაძემ ფუტურისტული გულთმისნობით იგრძნო მენშევიკურ ოინბაზობის განცდა, დაასწრო მათ და თითონ გამოაცხადა ოცდა შვიდი იანვარი დღესასწაულათ!

ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს მან მოიმოქმედა. არა ისტორიული წმინდა ნინოს ხათრისთვის, არამედ თანამედროვე ლამაზ ნინოებისაო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა.

არჩილმა ამით ჩაუგდო კოვზი ნაცარში მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს და დაიმსახურა ლოცვა-კურთხევა წმინდა მამათაგან...

**ხ. თ—ია.**

# საბჭ. საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

## შემოსავალი იანვარში.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტში პირველიდან 31 იანვრამდე შემოვიდა: პროცენტული გადარიცხვა სანახაობებიდან—101,312,300 მან.

ეს ჯამი შესდგა: 10 პროც. გადარიცხვა სახელმწიფო თეატრებიდან—73.077.800 მან; 20 პროც. გადარიცხვა კინოებსა, კონცერტებსა და საღამოებიდან—22.602.500 მან. და 30 პროც. გადარიცხვა მსახიობ ბ. პეტიპის საღამოდან—5,635,000 მან.

სულ. 101,312,300 მან.

წმინდა შემოსავალი წარმოდგენებიდან: „კოლექტივის“ ცირკიდან—ერთი წარმოდგენის 2 500.000 მან.

სხვა და სხვა დაწესებულებებიდან:

| | |
|---|---|
| კავკასიის ცალკე ლაშქრის ნაწილების | 1.240.295 მან. |
| საქართველოს კომპარტიის ც. კ. და თბ. კ. | 1.156.240 „ |
| საქართველოს პროფკავშირები | 6.363.165 „ |
| საქართველოს საგანგებო კომისია | 15,714,870 „ |
| ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი | 3,213,000 „ |
| თბილ. ტეხნიკუმები | 2,808,500 „ |
| სახ. კავშირის ც. კ. | 8,973,000 „ |
| საქ. რკინის გზები | 64,000,000 „ |
| სხვა და სხვა დაწესებულებები | 4.364.122 „ |
| რ. ს. ფ. ს. რ. სრულ. უფ. წარმ. | 250 000 „ |
| სხვა და სხვა პირებიდან პირადად | 1.215.010 „ |
| სულ. . . | 109.298.832 მ. |

### დამშეულთა დამხმარე კომიტეტებიდგან

ფოთი—8.000,000 მან.
სენაკი—2.843.500 მან.
ოზურგეთი—1.788.500 მან.
ბორჩალო -1.417.000 მან.
რაჭა—476,116 მან.

სულ 14 525,116 მან.

აზერბეიჯანის და სომხეთის ბონებით—სულ 662.350.100 მან.

ამიერკავკასიის რკინის გზებიდან აზერბეიჯანის ბონები 609.610.100 მან.

იმავე გზიდან და სხვა დაწესებულებიდან სომხური ბონებით — 52.740.000 მან.

662.350.100 მან.

სულ—889.995.348 მან.

შემოვიდა აგვისტოდან 1922 წლის 31 იანვრამდე: 3.607.688.625 მან.

### ძვირფასეულობა, შემოწირული დამშეულთა სასარგებლოთ

გარდა ფულის შემოწირულების, დ. დ. კომიტეტში შემოსულა შემოწირულება ძვირფასი ნივთებით. ეს შემოწირულებანი, შეფასებულნი ა. წ. 16 იანვარს არსებულ კურსით, შეადგენენ:

1. ოქრო

1) 41 ქორწინების ბეჭედი, წონით 40 1 მეოთ. მისხალი—350 ათასი მისხალი—14.087.500 მან.

2. 80 ბეჭედი უბრალო ქვებით, სულ წონით 39 ნახ. მისხალი—320 ათასი მისხალი—12,640,000 მან.

3. 19 ცალი: საყურე, ქინძისთავი, მონოგრამები, ღილები, ბრელოკები, ძეწკვები და ფირფილები სულ წონით 14 1 მეოთხ. მისხ.—310 ათასი მისხალი—4.560.000 მან.

4) ბეჭედი ხრიზოპრასით—2 სამი მეოთხედი მისხ—1.000 000 მან.

5) ბეჭედი ლალით 1 სამი მეოთხედი მისხ.—500.000 მან.

6) ბეჭედი ბრილიანტით—5.000.000 მან.

7) ბეჭედი ბრილიანტით და საფირონით—2.500.000 მან.

8) ბეჭედი ალმასით და გიშერით—600.000 მან.

9) ბეჭედი ლალით სამი მეოთხედი მისხ.—300.000 მან.

10) 2 ჯვარი და ერთი მონოგრამა, სულ წონით 1 მისხ. 3 20 000 მან.

სულ 41.507.000 მან.

2. ვერცხლი

1) პორტსიგარი, წონით 51 მისხ 20.000 მან. მისხალი.—1.200.000 მან.
2) „ „ 43 „ 860 000 „
3) „ „ 36—1.000.000 „
4) „ „ 31—300 000 „
5) „ „ 31—400.000 „
6) „ „ 19 მისხ. 10 000 მ. მისხ. 190 000 „
7) „ „ 23—230.000 „
8) ჰიქის დასადგამი—30 „ 20 000 „ 600.000 „
9) „ „ 22 „ 10.000 220.000 „
10) „ „ 17 „ 170.000 „
11) ჰიქა დიდი „ 29 „ 290.090 „
12) „ კოლოფი „ 36 „ 20.000 720.000 „
13) მოსაწყო ტორტისათვის—1.500.000 „
14) 14 ცალი კოვზი—239-8.000—1.912.000 „
15) დოქი ძველებური ნამუშევარი—200.000 „
16) 17 ცალი სხვა და სხვა წვრილი ნივთები წონით 141 მისხ.—8 ათ. მისხ.—1 128.000 „
17) ვერცხლის ნამტრევი წონით 288 მისხ.—6.000 მისხ.—1.728.000 „
18) კოვზი ვერცხლისა ემალით—50.000 „
19) 8 მოშლილი ვერცხლის ჯიბის საათი—240.000 „
20) 11 მოშლილი ჩუგუნის საათი—150.000 „
21) დანა ქაღალდისათვის სპილოს ძვლიდან—50.000 „

სულ 13.138.000 მან.

ამგვარად სულ შემოვიდა შემოწირულება ოქროთი და ვერცხლით—54.645.500 მანეთისა.

**შემოწირულებანი ვალიუტით და ძვირფასეულით.**

ლითონის ვალიუტა და განძეულობა, შემოსული დამშეულთა დამხმარე კომიტეტში და შეფასებული ა | წ 28 იანვრის კურსით, შემდეგია:

**1. რუსეთის ოქროს ვალიუტა.**

601 ხუთმანეთიანი ფული ნომინალური. 3,005 მანეთის, 850,000 მანეთად თითო—51,085,000 მან.

6 ხუთმანეთიანი ფული, ნომინალური 45 მანეთისა, 1,275100 მან. თითო 7,650,000 მან.

2 ნახევარ-იმპერიალი (7 მ. 50 კ), ნომინალური 15 მან. 127 5000 თითო—2550000 მან.

139 ათმანეთიანი ფული, ნომინალური 1390 მან.. 1700000 მან თითო,—236,300,000 მან.

სულ ნომინალური—4,485 მან.,—762,450,000 მ ნ.

**2. უცხოეთის ოქროს ვალიუტა.**

| | |
|---|---|
| 3 ოსმალური ლირა 1,460,000 მან. თითო | —4,380,000 მ. |
| 2 ავსტრიის 10 გულდენის ფული 600,000 მ. (ცალი) | —1,200,000 მ. |
| 1 ფრანგული 10 ფრანკიანი ფული | — 630,000 მ. |
| 1 სპარსული ფული 1 \| 16 ოქრ.) | — 100,000 მ. |
| 1 ამერიკული ფული 2 ნახევარი დოლარი | — 802,500 მ. |
| **სულ** | —7,112,500 მ. |

**3. ქაღალდის ვალიუტა.**

| | | |
|---|---|---|
| 1348 ოსმალური ლირა 75 პიასტრი | — | 323,700,000 მ. |
| 6 ნახევარი ინგლისური გირვანქა | — | 9,100,000 მ. |
| 1 ამერიკული დოლარი | — | 346,000 მ. |
| 25 იტალიური ლირა | — | 425,000 მ. |
| 10 ნახევარი გერმანული მარკა | — | 39.000 მ. |
| 2 ფრანგული ფრ. | — | 56.000 მ. |
| **სულ** | — | 333,666,900 მ. |

**4 ვერცხლის ფული.**

1 სპარსული ფული 5 კრონი—90,000 მ.

1 ამერიკული ფული 1 ნახ. დოლარი—50,000 მ.

8 სხვა და სხვა უცხოელი ფული—25,000 მ.

49 რუსეთის ფული 1 მანეთიანი—2,940,000 მ.

წვრილი ვერცხლის ფული 145 მ. 65 კ. (20,000 მან.-მანეთი)—291,300 მ.

სულ—7,488,000 მ.

შეწირულებათა საერთო ღირებულება ოქროთი და განძეულით უდრის—1,110,717,400 მანეთს.

**დამშეულთა დამხმარე ც. კომიტეტის სალაროს ბალანსი ა. წ. 1 თებერვლისათვის**

**შემოსავალი:**

**სალაროს ანგარიში** შემოვიდა დ. დ. ც. კ. სალაროში 1921 წ. 16 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე—1,365,621,985 მან.

შემოვიდა დ. დ. ც. კ. სალაროში შემომწირველთაგან 1922 წ. 1-დან 31 იანვრამდე—163,645,248 მ

შემოვიდა დ. დ. ც. კ. სალაროში დაბრუნებული ანგარიშვალდებული ჯამი 1922 წ. 1 დან 31 იანვრამდე—528,000 მან.

სულ—1,529,795,233 მ.

**საბრუნებელ ჯამის ანგარიში**

შემოვიდა ქალაქის რევკომიდან გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატში—245,553,500 მ.

**მიმდინარე ანგარიში თბილისის ხაზინაში.**

შემოვიდა მიმდინარე ანგარიშზე შემომწირველთაგან—95,518,872 მ.

შემოვიდა მიმდინარე ანგარიშზე დ. დ. ც. კ. დან—266,722,162 მ.

სულ—342,241,034 მან-

**მიმდინარე ანგარიში სახალხო ბანკში.**

შემოვიდა მიმდინარე ანგარიშზე შემომწირველთაგან:

| | |
|---|---|
| ქართული ბონებით | 1.138,987,727 მ. |
| აზერბეიჯ. ბონებით | 609 610,100 მ. |
| სომხეთის „ | 52.740,000 მ. |
| სულ | 1.801,337,827 მ. |

**შემოვიდა მიმდინარე ანგარიშზე დ. დ. ც.-საგან.**

| | |
|---|---|
| ქართული ბონებით | 137.142,215 მ. |
| აზერბეჯანის „ | 51.732,270 მ. |
| სომხეთის „ | 22.502,500 მ. |
| | 211 436,985 მ. |
| | 774.812 მ |
| | 2.012 |
| სულ | 4.130,364,579 მ. |

**გასავალი:**

**გ. ს. ვაჭრობის კომ ანგარიში.**

| | |
|---|---|
| გაცემულია დ. დ. ც. კ. სალაროს მიერ | 798.000.000 მ. |
| „ ქალაქ რევკ. საშუალებით | 245.553,500 მ. |
| „ სახალხო ბანკის ,, | 1 019,446,500 მ. |
| „ თბილის. ხაზინის „ „ | 237.000.000 მ. |
| | 2.300,000,000 მ. |

**მიმდინარე ანგარიში:**

| | |
|---|---|
| მიეცა ანგარიშ ქეშსხვა და სხვა პირებს | 334.400,000 მ. |
| „ ავანსი ჯამაგირის და პურისანგარიში | 2.035.500 მ. |
| „ შემოწირულ პროდუქტების გადაზიდვისათვის | 7.905,551 მ. |
| „ საკანცელარიო და სხვა გასავალი | 1.135,000 მ. |
| ვოლგის მხრის სპეციალური ფონდის | 134.003,999 მ. |
| დაუბრუნდა ამხ. კუჯულოვს კომიტეტისათვის შეცდომით გადაცემული | 129.036 მ. |
| | 4.79,609,086 მ. |

**ნაღდი თანხის ანგარიში:**

| | |
|---|---|
| არის დ. დ. ც. კ. სალაროში: ქართული ბონებით | 36.971,385 მ. |
| აზერბეიჯ. ბონებით | 7.055,715 მ. |
| | 44 027,100 მ. |

**ნაშთი სახალხო ბანკში:**

| | |
|---|---|
| ქართული ბონებით | 6.683,442 მ. |
| აზერბეიჯ. ბონებით | 661.342,370 მ. |
| სომხეთის ბონებით | 75.302.500 მ. |
| | 743.328,313 მ. |

**ნაშთი თბილისის ხაზინაში:**

| | |
|---|---|
| ქართული ბონებით | 45 241,034 მ. |
| | 832.596,446 მ. |

**საბრუნებელ თანხის ანგარიში:**

| | |
|---|---|
| შეტანილია სალაროში მიმდინარე ანგარიშიდან თბილისის ხაზინაში | 60.000,000 მ. |
| სულ | 4 130,364,579 მ. |

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დეკრეტი № 91.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**საქართველოში გაზომვის საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.**

1. ტეხნიკასა, მეცნიერებასა და ვაჭრობა მრეწველობაში ყოველგვარი გამოანგარიშებისა და გამოთვლის გაადვილებისათვის, ხერხიანობისათვის, დროს დაზოგვისათვის და გამარტივებისათვის, აგრეთვე გაზომვის სფეროში ერთი საერთაშორისო ენის შემოღებისათვის, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ყოველნაირ გაზომვის საფუძვლად დაედვას საზომ საწონის საერთაშორისო მეტრული სისტემა ათწილადობრივი დაყოფითა და ნაწარმით.

2. მიღებულ იქნეს სიგრძის ერთეულის საფუძვლად—მეტრი, ხოლო სიმძიმის (მასის) ერთეულის საფუძვლად კილოგრამმი—მეტრული სისტემის ძირითადი ერთეულების ნიმუშად მიღებულ იქნეს საერთაშორისო მეტრის ასლი, რომელსაც აქვს 28 №-ის ნიშანი, ხოლო საერთაშორისო კილოგრამმისა, რომელსაც აქვს 12 №-რის ნიშანი: ეს ნიმუშები დამზადებულია ირიდის პლატინისაგან და გადაეცა რუსეთს ზომისა და წონის პირველი საერთაშორისო კონფერენციის მიერ, რომელიც მოხდა პარიზს 1889 წ. ამ ჟამად ეს ნიმუშები ინახება რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ზომისა და წონის მთავარ პალატაში—პეტროგრადს.

3. საბჭოთა ყოველი დაწესებულება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვალდებულია 1922 წლის იანვრის 1-დან შეუდგეს საერთაშორისო მეტრული სისტემის შემოღებას და საბოლოო გადასვლა ამ სისტემაზე უნდა დამთავრდეს: რკინის გზაზე, ფოსტისა და საბაჟო დაწესებულებაში 1923 წლის იანვრის 1 ს, ხოლო დანარჩენ დაწესებულებასა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კერძო ვაჭრობა-მრეწველობაში და სხვ.—1924 წლის იანვრ ს 1-ს.

4. 1922—1924 წლების განმავლობაში—ფასების ცნობათა სესხი შედგენილ უნდა იქნეს როგორც ძველი, ისე მეტრული სისტემით.

5. მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მთავრობის დაწესებულებათა მიერ გამოცემულ ყოველ ნიხრში და დადგენილებაში ზომა და წონა აღნიშნულ უნდა იქნეს როგორც ახალი, ისე ძველი სისტემით.

6. 1924 წლის იანვრის 1-დან საერთო სახმარებლად შემოღებულ უნდა იქნეს მარტოოდენ მეტრული საზომ-საწონი და დამნაშავე, ამ ვადის შემდეგ ძველი სისტემის საზომ-საწონის ხმარებისათვის—დაისჯება ისევე, როგორც ის პირი, ვისაც აღმოაჩნდება უდაღო ან ვადა-გასულ დაღიანი საზომ-საწონი.

7. 1924 წლის იანვრის 1 დე ვაჭრობასა, მრეწველობასა და ყოველგვარ აღებ მიცემობაში მეტრული სისტემის საზომ-საწონის ხმარება შეიძლება მხოლოდ შეპირებულ მხარეთა შეთანხმებით.

8. ის, ვინც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოისურვებს სავაჭრო შენობაში იხმაროს მეტრული საზომ-საწონი, ვალდებულია იმავე შენობაში გამოჰფინოს, თვალსაჩინო ადგილას, განცხადება—ტაბულით ძველი და მეტრული საზომ-საწონის შესადარებლად, აგრეთვე საქონლის ფასი მეტრული საზომ საწონის მიხედვით და ამავე საქონლის ფასთან შეფარდებით რუსული ზომა-წონის თანახმად.

9. საქართველოში არსებული და სახმარებლად მიღებული ადგილობრივი ეროვნული, არა რუსული, საზომ-საწონი აღარ უნდა იხმარებოდეს 1924 წლის იანვრის 1 დან.

10. გათანაბრება არსებული ეროვნული, არა რუსული, საზომ-საწონისა, რომელიც მეტრულს უდრის, დაეკისროს მეტროლოგიური რეფორმის განხორციელების კომისიას. ნაციონალურ საზომ-საწონს, თუ იგი წონით, ტევით, სიგრძით და სხვ. თანაბარია მეტრულისა, უნდა ჰქონდეს, მეტრული სახელწოდებასთან ერთად, ეროვნულიც.

11. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საზომ-საწონთა პალატის ტეხნიკური დახმარებით, მიიღოს სათანადო ღონისძიება, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს, რაც შეიძლება საჩქაროდ, საზომისა და გირების საკმარისი რაოდენობით.

12. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს მიიღოს ღონისძიება მოსწავლეთათვის საზომთა მეტრული სისტემის, რაც შეიძლება, ფართო თეორეტიული და პრაქტიკული გაცნობისათვის და აგრეთვე ხელი შეუწყოს ამ სისტემის საერთოდ ხალხში პოპულიარიზაციას.

12. დაეკისროს საზომ-საწონთა პალატას მეტრულ საზომთა და გირების დამზადებისა, შემოწმებისა, დაღის დასმისა და ვაჭრობა მრეწველობაში მოხმარების წესების შემუშავება და გავრცელება.

14. 1923 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს რუსულისა და სხვა სისტემის საზომ-საწონთა დამზადება და შემოტანა. ხოლო 1924 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს მათი გაყიდვა.

15. მეტრული სისტემის შემოღებისა და შეფარდების შესახებ ყოველი საკითხის გადაწყვეტისათვის და ყველა დაინტერესებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის საერთო ტეხნიკური ხელმძღვანელობისათვის დაარსდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან **საქართველოში გაზომვის საერთაშორისო მეტრული სისტემის მთავარი კომიტეტი**, რომელშიაც უნდა შევიდნენ: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ფინანსთა, სამხედრო, გზათა, განათლების, მიწათმოქმედების, სასურსათო, ფოსტისა და ტელეგრაფის უწყებათა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, უმაღლეს სასწავლებელთა, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის, საზღვაო ტრანსპორტის, ვაჭრობა-მრეწველობის ორგანიზაციების და საზომ საწონთა პალატის წარმომადგენელნი.

კომიტეტის ნამდვილი შედგენილობა, ფუნქციები და მოქმედების წესი განისაზღვრება ცალკე დებულებით, რომლის პროექტის შედგენა დაეკისრება საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **მალაქ. ტოროშელიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 31.

თბილისი-სასახლე.

—

## ბრძანება № 95

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წლის იანვრის 24 ს დადგენილების თანახმად, საქართველოს საგანგებო კომისიის ყოველი ორგანო ვალდებულია:

1. კონფისკაცია ქმნილი სამხედრო ჯურის ყოველი თოფ-იარაღი, როგორც მაგალითად: ვინტოვკა, ყარაბინი, ტყვის მფრქვეველი და საამისო სამხედრო ხელსაწყო სამი დღის განმავლობაში ჩააბაროს საარტილერიო სამომარაგო საწყობს.

2. ყოველი ჩამორთმეული სანადირო იარაღი, როგორც მაგალითად: სადალულიანი და დაღარული თოფი, შტუცერი და ყარაბინი და სამისო ხელსაწყო, სამი დღის განმავლობაში მათი კონფისკაციის დღიდან უნდა ჩააბაროს ადგილობრივ საგუბერნიო მონადირეთა კავშირს.

3. ჩამორთმეული თოფ იარაღი უნდა ინახებოდეს საგანგებო კომისიის საწყობებში და იყოს გაწმენდილი და გაზეთილი,

4. წითელი არმიის დაწესებულებათა მიერ გაცემული სამხედრო ჯურის იარაღი, ჩამორთმევისათანავე, კონფისკაციის შესახებ დადგენილების მიღებამდე, უნდა ჩაბარდეს იმ ნაწილს, ან დაწესებულებას, რომელსაც იგი გაუცია.

5. იარაღი ჩაბარებულ უნდა იქნეს ნუსხით, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს: ა) ვის ჩამოერთვა, ბ) იარაღის ჯური, გ) ფირმა, დ) იარაღის № რი, ვ) იარაღის ვარგისობა ან უვარგისობა და კ) ვის ჩაბარდა. იარაღისა და საამისო ხელსაწყოს მიმღები ხელს აწერს ნუსხის ორ ცალს, რომელთაგანაც ერთი გაეგზავნება. საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს, მეორე კი რჩება დაწესებულებას, რომელსაც იარაღი ჩაბარდა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 31.

ტფილისი—სასახლე.

—

## სავალდებულო დადგენილება ფინანსთა სახალხო კომისარისა

**პირდაპირ გადასახადების ნარჩენებზე საურავის რაოდენობის გასადიდებლად.**

1. საურავის რაოდენობა დარჩენილ პირდაპირ სახელმწიფო გადასახადებზე განისაზღვროს 15 პროც. თვიურად; თვეზე ნაკლები დრო ჩაითვალოს ერთ თვედ.

2. დადგენილება ესე შედის ძალაში 1922 წლის 1 თებერვლიდგან.

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. ხვანიძე.**

—

## დებულება

**საქართველოს სოც საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა—სამელიორაციო ამხანაგობათა შესახებ.**

რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ზოგიერთ ცხელ, მაგრამ ბუნებრივად ნაყოფიერ ადგილებში,—მინდვრების მოურწყველობისა ან ჭაობიანობის გამო,—სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია მარტოდენ ხელოვნური მორწყვისა და ჭაობების დაშრობის საშუალებით, ხოლო საამისო მუშაობის წარმოება სათანადო წინასწარი გეგმის მიხედვით მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, უკეთუ ამით დაინტერესებული მცხოვრებნი იმ ადგილებისა ჩამოიჩენენ თვითმოქმედების უნარს ამხანაგობათა დაარსების სახით,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

რათა სამელიორაციო აღმშენებლობის საქმისათვის ადგილობრივი ძალების ორგანიზაცია, რაც შეიძლება, შესაფერისად იქნეს განხორციელებული ნება დაერთოს მოეწყოს ნებაყოფლობით და აგრეთვე იძულებითაც სამელიორაციო ამხანაგობანი შემდეგი წესის დაცვით:

1. სამელიორაციო ამხანაგობა არსდება, რათა შეერთებულის ძალით ექსპლოატაცია უყოს და ხელი შეუწყოს დაცვა შენახვით ასაგებ ან უკვე აგებულ ჰიდრო-ტეხნიკურ სისტემებს, რომელთა დანიშნულებაა მიწების მორწყვა-დაშრობა, მდინარისა, არხისა, და ხევის ნაპირთა გამაგრება, წყალსადენის გაყვანა და სხვა რამ ამისთ.

2. ამხანაგობის წევრად შეუძლიან იყოს ყველა მიწის მოსარგებლეს ფიზიკური და იურიდიული) ამა თუ იმ სისტემის მოქმედების რაიონში

3. სამელიორაციო ამხანაგობა დაარსდება ნებაყოფლობით შეთანხმებით მიწის მოსარგებლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლებისა იმ რაიონში, რომლის მიწებზედაც გავრცელებულ უნდა იქნეს ასაგებად განზრახულისა, ან უკვე არსებული ჰიდრო-ტეხნიკური სისტემის მოქმედება. იგინი ჩაითვლებიან ამხანაგობის დამაარსებლად და თავიანთ დადგენილებას ამხანაგობის დაარსების შესახებ წარუდგენენ დასამტკიცებლად მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როდესაც აღიარებული იქნება, რომ ამ ჰიდრო ტეხნიკურ ნაგებობათ უაღრესი მნიშვნელობა აქვთ იმ რაიონისათვის ამხანაგობის დასაარსებლად საკმარისია შეთანხმება ზემოაღნიშნულ მცხოვრებთა რიცხვის 1 | 3 სა.

4. მე 3 მუხლის მიხედვით დაარსებულ ამხანაგობის დამფუძნებელთ შეუძლიანთ იძულებით ჩარიცხონ წევრებად იმ რაიონის დანარჩენი მცხოვრებნიც, რომელთა მიწებზე ვრცელდება ამხანაგობის ჰიდროტეხნიკურ ნაგებობათა მოქმედება. ამრიგად ჩარიცხული წევრები, დამფუძნებელ წევრების თანაბარად იზიარებენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ამ დებულებისა და ამხანაგობის წესდებიდან.

5. ამხანაგობის საქმეებს განაგებს: ა) ამხანაგობის გამგეობა, და ბ) ამხანაგობის წევრთა ან მათ რწმუნებულთა საზოგადო კრება ამხანაგობის წესდებაში აღნიშნული წესის მიხედვით.

6. სამელიორაციო ამხანაგობას უფლება აქვს: თავისი სახელით ქონების შეძენისა და განსხვისებისა, ვალდებულებათა დადებისა, სასამართლოს წინაშე ძიებისა და პასუხისგებისა და, საერთოდ იურიდიულად უფლებამოსილ პიროვნების მოქმედების საერთო კანონმდებლობით [illegible] ლებში.

7. ამხანაგობა ადგენს: ა) ამხანაგების საქმეში მონაწილეობის ფორმასა და წესრიგს (შრომით, ფულით, მასალით და სხვა რამ ამისთ.), ბ) თვითეული ამხანაგის ვალდებულობის რაოდენობას, გ) ამხანაგების მოვალეობის შეცვლას (მომატებას ან დაკლებას) და სხვა პირობებს, რაც არ ეწინააღმდეგება კანონს და რაც აუცილებელია ამხანაგობის მიზნების მისაღწევად.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც ამხანაგობის რომელიმე წევრი განსაზღვრულ ვადის განმავლობაში არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ამხანაგობას უფლება აქვს სასამართლოსადმი მიუმართავად, იძულებით:

ა) გადაახდევინოს პირობის არ ამსრულებელ წევრს გადასახადი ფულად თუ მასალით.

ბ) გაიყვანოს სამუშაოზე შრომის მოვალეობის მოსახდელად ის წევრი, რომელიც ამისაგან თავს განირიდებს;

გ) შეუცვალოს ეს უკანასკნელი ფულის გადახდევინებად დღიურ შრომის შეფასების მიხედვით და გადაახდევინოს ფული საჭირო მუშების დასაქირავებლად.

9. ადმინისტრატიული ხელისუფალნი ვალდებულნი არიან იძულებითი და უდავო წესით ადგილობრივ სისრულეში მოიყვანოს ამხანაგობის ის დადგენილებანი, რომელიც შეესაბამება საერთო კანონმდებლობას, ამა დებულებას და ამხანაგობის წესდებას.

10. ამხანაგობიდან გამოსვლა შეუძლიან მხოლოდ იმ წევრს, რომელმაც დაჰკარგა უფლება მიწის სარგებლობისა ამხანაგობის მოქმედების რაიონში და აგრეთვე იმ წევრთ, რომლის მიწა ადგილზე არ ვრცელდება ჰიდროტეხნიკური ნაგებობის მოქმედება.

11. სამელიორაციო ამხანაგობის მოქმედების ზედამხედველობა დაეკისრება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს, თანახმად განსაკუთრებული ინსტრუქციისა.

12. თავის მოქმედებაში ამხანაგობა ხელმძღვანელობს ყველა არსებულ კანონს. ამ დებულებას და თავის წესდებას, რომელიც წარედგინება მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

13. ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება: 1) ვადის გასვლამდე—მის ყველა წევრთა ერთხმად მიღებულ დადგენილებით და 2) დასახული მიზნის საბოლოოდ განხორციელების შემდეგ.

14. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. იანვრის 31

თბ. სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

**მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.**

გაზ. **„კომუნისტზე“**

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

**ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.**

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებების მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

**ს. მ. ა. ს. მომარაგების საბჭო აცხადებს,**

რომ 1 იანვრიდან მეორე ძირითადი საწყობთან (სომხის ბაზარი № 62)

გახსნილია

**სავაჭრო მაღაზია**

სადაც იყიდება ყველასათვის საპონი, ასანთი, პაპიროსი, ჭურჭლეულობა, გალანტერეია და სხ. **ფასები ხელმისაწდომია.** 3—6

## სხვა და სხვა

1. დავკარგე მასწავლებლის წოდების მოწმობა მოცემული ოზურგეთის სას. სასწავლებლიდან.

2. მეტრიკული ამოწერილობა და

3. პირადობის მოწმობა კალენიკე მ. ანდღულაძის სახელზედ, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად.

მასწავლ. **კ. ანდღულაძე.**

— დაიკარგა მატრიკული № 2631 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტ პარმენ მაქსიმეს ძე ფირცხალაიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ჯიბიდგან ამომაცალეს საფულე 150,000 მანეთით და საბუთებით:** 1) პირადობის მოწმობა ლეხაინდრავის რევკომისაგან, 2) საწევრო წიგნაკი, 3) ვერცხლის საათი (გერმანული), 4) საბარგო ქვითარი (ერთი), 5) ოქროს ბეჭდები. გთხოვთ საბუთები გააბათილოთ.

**ივანე კიკალიშვილი.**

4 თებერვალი 1922 წ.



საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კრუზენშტეინის ქ., № 4